# საარბიტრო

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან პარასკევი, 7 აგვისტო 1998 №137 (672) ფასი 40 თეთრი

საქართველოს ჩემპიონატი

1 ტური

6 აგვისტო, ხუთშაბათი

| | |
|---|---|
| დინამო | 5 |
| არსენალი | 1 |
| კოლხეთი | 0 |
| ლოკომოტივი | 0 |

7 აგვისტო, პარასკევი

მერანი
სამგურალი

ბათუმი
ვიტ ჯორჯია

8 აგვისტო, შაბათი

სიონი
გურია

თსუ
ტორპედო

ოდიში
იბერია

მეტალურგი
დილა

## ...წავიდა ყველა, სხვა ხალხის (არ) ისმის აქ ჟრიამული

იხილეთ მეორე გვერდი



გუშინ ეროვნულზე: „დინამო" — „არსენალი". მეათე ეროვნული ჩემპიონატის გახსნის მატჩს 75-ათასიან სტადიონზე 500-მდე მაყურებელი ჰყავდა

## გუცაევის თხუთმეტი რჩეული

საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული გუნდები 18-19 აგვისტოს კიევში უკრაინის პირველ და ახალგაზრდულ ნაკრებებს საერთაშორისო ამხანაგურ მატჩებში შეხვდებიან. ამ თამაშებს ორივე ქვეყნის გუნდებისთვის მეტად პრინციპული მნიშვნელობა აქვს. სექტემბრიდან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის გათამაშებაში ჩავებმებით. თანაც, პოლონელებთან მარცხნაწვნევი უკრაინელები ყოველნაირად შეეცდებიან, თავიანთი გულშემატკივრების თვალში რეაბილიტაცია მოახდინონ. თავის მხრივ საქართველოს ნაკრებიც, რომელიც თითქმის ერთი წელიწადია, წაუგებლად ასპარეზობს საერთაშორისო არენაზე, მედგრად იბრძოლებს დაუმარცხებლის იმიჯის შესანარჩუნებლად. საამისოდ ჩვენებურთა თავკაცი ვლადიმერ გუცაევი საკმაოდ ინტენსიურად მუშაობს. იგი ცდილობს, ფეხბურთელებს შორის რაც შეიძლება დიდი კონკურენცია შექმნას და მეტად დამაინტრიგებელ განცხადებებსაც არ ერიდება. „გუნდში ადგილი დაჯავშნული არავის აქვს", „ვინც ღირსი იქნება, იმას დავაყენებ", „სამ-ოთხ ახალწვეულსაც მოვსინჯავ" — ეს ფრაზები ადასტურებს ჩვენი ქვეყნის პირველი გუნდის მწვრთნელის განზრახვას — ჩამოაყალიბოს ისეთი ნაკრები, რომელშიც, როგორც თავად ამბობს, მხოლოდ პატრიოტები ითამაშებენ.

ვოვა გუცაევმა სიტყვა შეასრულა და 19 აგვისტოს მატჩისთვის ნაკრების მიერ კარგა ხნით მივიწყებული, ამჟამად „ალანიაში" ჩინებულად მოასპარეზე გიორგი დემეტრაძე მიიწვია. დემე არის ის პირველი სიურპრიზი, რომელსაც მწვრთნელი რუსებთან თამაშის შემდეგ შეგვპირდა. ვინ იქნებიან დანარჩენები, ამას სულ მალე შევიტყობთ. ჯერჯერობით გუცაევმა კიევში წამსვლელი მხოლოდ 15 ფეხბურთელის ვინაობა დაასახელა. ამათ კი 12 აგვისტოს ალბათ ხუთ დინამოელსაც შემატებს.

მეკარეები: ნიკა ტოგონიძე (ბათუმი), დავით გვარამაძე (დინამო); მცველები: მამუკა წერეთელი (ალანია, რუსეთი), კახი ცხადაძე (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), გელა შეყილაძე (ლიერსი, ბელგია), ლევან კობიაშვილი (დინამო), კახი კალაძე (დინამო, უკრაინა); ნახევარმცველები: გიორგი გახოკიძე (ეინდჰოვენი, ჰოლანდია), გიორგი ნემსაძე (გრასჰოპერი, შვეიცარია), გიორგი ქინქლაძე (აიაქსი, ჰოლანდია), თემურ ქეცბაია (ნიუკასლი, ინგლისი); თავდამსხმელები: შოთა არველაძე (აიაქსი, ჰოლანდია), ზაზა ჯანაშია (ლოკომოტივი მოსკოვი, რუსეთი), ალექსანდრე იაშვილი (ფრაიბურგი, გერმანია), გიორგი დემეტრაძე (ალანია, რუსეთი).

**ხვიჩა სანიძიძე**

### ბულგარეთს ჩეხებიც მივაყოლეთ

გუშინ რიგაში მორიგი მატჩი გამართა საქართველოს ჭაბუკ კალათბურთელთა ნაკრებმა. ჩვენებურები ჩეხებს დაუპირისპირდნენ და საკმაოდ იოლადაც 105:67 გაუსწორდნენ.

ისეთი პირი უჩანს, ქართველ კადეტებს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრა არ უნდა გაუჭირდეთ. ხვალ პოლონეთის ჯერია.

საქართველოს ჰყავს ორი ათასამდე ფეხბურთელი,
საქართველოს ჰყავს ოთხასამდე ლეგიონერი,
საქართველოში ტარდება ეროვნული ჩემპიონატი,
რომლის საცქერლად სტადიონებზე აღარავინ დადის!
გვინდა ასეთი ჩემპიონატი?! გვინდა ასეთი ფეხბურთი?!



ხომერიკმა (№11) ჩლაიძეს ამჯერად ვერ გაუტანა, თორემ ორი გოლით უკვე ჩემპიონატის ბომბარდირია

# დინამომ არსენალი განაიარაღა

თბილისი
6 აგვისტო
18 საათი
ეროვნული
500 (ტევადობა 75000)

**დინამო 5:1 არსენალი**

**დინამო:** გვარამაძე, ი. მახარაძე, ჯელაძე, დიდავა (ა. სახვაძე 83), დ. მუჯირი (ლ. კობიაშვილი 46), გუჩუა, კიკნაძე, ალექსიძე (ლ. მელქაძე 76), აშვეთია, ცქიტიშვილი, ხომერიკი
სათადარიგონი: სოლოლაშვილი, კვარაცხელია, ქემოკლიძე, გ. შენგელია.
**არსენალი:** ჩლაიძე, ფირცხალავა, ცერცვაძე (ყუფარაძე 46), ვ. გველესიანი, თევზაძე, მ. მაისურაძე, ყოლბაია (ამირიძე 63), ლომიძე, კორღალიძე, კაკაშვილი (ლაცაბიძე 46), ტარიელაშვილი
სათადარიგონი: ამბიძე, გ. კაპანაძე, გ. სულაძე, ქიქავა
0:1 კაკაშვილი (8), 1:1 აშვეთია (12), 2:1, 3:1 ხომერიკი (18, 44), 4:1 კიკნაძე (71), 5:1 მელქაძე (89).
**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი, მ. ელიკაშვილი, ს. შალამბერიძე; ზ. დარჩია (ყველა თბილისი)
**სფფ-ს დელეგატი:** კ. ყრუაშვილი (თბილისი)

**კობა ინასარიძე**

ეგ არის ჩვენი ეროვნული ჩემპიონატი. შინაურ ფეხბურთს დანატრებულმა ქვეყნის უპირველეს არენას მივაშურეთ, ჩემპიონატი იწყება, ალბათ, კარგი თამაშის მომსწრენი შევიქმნებითო — ვიფიქრეთ. თქვენც არ მომიკვდეთ. ვარსკვლავთცვენას არ ველოდით, მაგრამ ვერც იმას წარმოვიდგენდით, ბოლო დროს სახეცვლილი და დასუსტებული „დინამო" ჯგუფის დებიუტანტ მეტოქეს ნახევრის ნახევარი ძალითაც თუ მოუგებდა. რა ვქნათ? ნურავინ დაიმედდება, ჩემპიონატის დონე ამაღლდაო. ნურც იმას იტყვით, ქართული ფეხბურთი კვდებაო. არა, ჩვენი ფეხბურთი უკვე მოკვდა! საშველი რომ ყოფილიყო, აქამდე დაგვადგებოდა. ახლა უკვე პანაცეა გვჭირდება, ეგებ ფეხბურთი მოვასულიეროთ.

ეგ არის ჩვენი ეროვნული ჩემპიონატი. ეგ არის გახსნის მატჩი და „საზეიმო ცერემონიალი". ჰიმნი და მაყურებელთა მძინარე სახეები. უხალისო და მონოტონური ფეხბურთი. 75-ათასიან სტადიონზე 500-მდე ქომაგი.

დრო იყო, სეზონის გახსნა საყოველთაო მოვლენად აღიქმებოდა, ხალხი პირველი მატჩის მოლოდინში ხელებს იფშვნეტდა, სტადიონებზე ანშლაგი გახლდათ. ახლა? ვითომც არაფერი, უემური სახეები და ტანჯვა.

ასეთი ტონით წერას კიდევ გავაგრძელებდით, მაგრამ რა გაეწყობა, თამაშზეც ხომ უნდა ვთქვათ? რაც არის, ეგ არის.

„დინამომ" ბილბაოელებთან შეხვედრამდე მშვენიერი განწყობა შეიქმნა. თუმცა გუშინდელის მსგავსი თამაშით ბასკებს რომ ვერაფერს დააკლებს, ნაღდია. „არსენალთან", მგონი, ხურცილავამ ის ძირითადი შემადგენლობა დააყენა, რომელიც „ატლეტიკს" დაუხვდება. შეიძლება ერთი ცვლილებაც მოხდეს, ეს მაშინ, თუ გოჩა ჯამარაულის „დინამოში" დაბრუნება გადაწყდა. პასუხი გუშინვე უნდა გვცოდნოდა, მაგრამ თურქეთიდან დაბრუნებულმა რომან შოთაძემ გვითხრა, საქმე ცუდად არის, ტრაბზონელები ჭირვეულობენ, ეტყობა, ჯამარაულის გამწარება უნდათო. თურქები პასუხს დღეს შემოთვლიან, ან ჰოს იტყვიან, ან არას. თუ ვირზე შეჯდნენ, მაშინ „დინამო" მეტად ველარ გაძლიერდება, ხოლო თუ გული მოულბათ, ხომ კარგი, თბილისელთა ნახევარდაცვა საგრძნობლად მოღონიერდება.

ყოველ შემთხვევაში, გუშინ ხურცილავამ მოედნის ცენტრი კიკნაძესა და ცქიტიშვილს ჩააბარა, მათ უკან გუჩუა იყო, ფლანგებზე — ალექსიძე და მცველი ვანო მახარაძე. ლიბეროდ დიდავა თამაშობდა, წინ კი ხომერიკი — აშვეთია — მუჯირი. ჯელაძე დიდავას ეხმარებოდა.

„დინამომ" 90 წუთი ისეირნა, გაშვებული გოლის შემდეგაც არ შეტოკებულა. გოლებიც ერთმანეთზე უკეთესი შეაგდო: ჯერ ალექსიძემ ჩააწოდა ძლიერად ფლანგიდან და აშვეთიამ ნახტომში დარტყმულით გაათანაბრა ანგარიში, მერე ისევ აშვეთიამ მუჯირის პასი შეირგო, საჯარიმოში თითქმის მთელი მეტოქე გუნდი მოატყუა და ხომერიკს გაატანინა, ტაიმის ბოლოს კი ჯელაძის თავურს ხომერიკმა მარჯვენა შეაგება და ვარდნაში საქმე პრაქტიკულად მოამთავრა. ცხადი იყო, მეორე ტაიმში სასწაული არ მოხდებოდა. მატჩისადმი ინტერესი მე-12 წუთზევე გაქრა, მაგრამ იმედი კიდევ გვქონდა, „არსენალი" გოლებს თუ ვერ შეაგდებს, ეგებ ლამაზად მაინც ითამაშოსო. არაფერი გამოვიდა. კვლავ ერთფეროვანი ფეხბურთი. არმიელებს მეორე ტაიმში გვარამაძის კარისკენ საერთოდ არ დაურტყამთ, თუმცა შესვენებამდე სამ-ოთხჯერ კი შეაწუხეს რიგიდან ჩამოსული კოშკა. მეოთხე გოლი კიკნაძემ გაიტანა, ლამის ცენტრიდან ცაციათი დარტყმული ბურთი ჩლაიძეს ხელიდან გაუვარდა და კარში შეგორდა. სულ ბოლოს მელქაძემ იყოჩაღა, რომლის ნახევრადმაკრატელა მართლაც ეფექტური გამოდგა. აი, ეს იყო. აღსანიშნავი კიდევ კაკაშვილის თავური გოლია, რომელიც მან ფირცხალავას ჩაწოდებულს მიაყოლა და მატჩს ინტრიგა შემატა, მაგრამ ოდენ ოთხი წუთით. მერე „დინამო" გაბრაზდა. „არსენალს" კი თავის ტექნიკური და ტაქტიკური არსენალის განახლება მართებს, თორემ ვინძლო ისევ მეორე ჯგუფს მიაკითხოს.


ჯაბა იოსელიანის ფოტო

აშვეთიამ თავადაც გაიტანა, არსენალელებიც გააბითურა და ხომერიკსაც უპასა

## ვინ დაარტყამს პენალტს?

**ოდიში 1:2 ოდიში 2**

0:1 ჯურხაძე (48), 0:2 ვაზგანავა (63), 1:2 ნაჭყებია (88)

საჩემპიონატო სამზადისში ეს შეხვედრა ბოლო იყო ზუგდიდელთათვის.

მატჩი პაპანაქება სიცხეში გაიმართა და მეტად ულიმღამოდ დაიწყო. ფეხბურთელები ძირითადად ბურთს ცენტრში აგორებდნენ.

მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში გუნდებმა მხოლოდ ორჯერ დაარტყეს კარის მიმართულებით. ჯერ „გურიადან" ზუგდიდში გადაბარგებულ ღურწკაიას შეეძლო თავი გამოეჩინა, როცა მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოში შეიჭრა და მეკარისთვის თავზე ბურთის გადატარება სცადა, მაგრამ ოდნავ ააცილა. 28-ე წუთზე კი დაახლოებით 30 მეტრიდან ჯოჯუას უძლიერესი დარტყმული ძელს მოხვდა.

მიუხედავად საგოლე მომენტების ნაკლებობისა, პირველ ტაიმში „ოდიში 2"-ის ტერიტორიული უპირატესობა აშკარა იყო.

მეორე ტაიმი უფრო საინტერესო სანახავი გამოდგა.

უკვე მესამე წუთზე ღურწკაიას შესანიშნავი პასის შედეგად ჯურხაძე პირისპირ აღმოჩნდა მეკარესთან, მანაც არ დაახანა და მოჭრილი დარტყმით ახლო კუთხეში გაუტანა ნაყოფიას.

ახალგაზრდა ოდიშელთა დაწინაურებას მოწინააღმდეგის მხრიდან ტემპის მომატება მოჰყვა, მაგრამ ხუთიოდე წუთში კვლავ მეორეჯგუფელებმა იხეირეს. მარცხენა ფლანგიდან თოლორაიას გარღვევას, სადაც მან ფაქტობრივად მთელი გუნდი მოატყუა, საჯარიმოში ზუსტი ჩაწოდება მოჰყვა და ვაზგანავამ ცარიელ კარში შეაგდო ბურთი.

ამის მერე მოხდა ის, რისი წარმოდგენაც კი ძნელია. მე-17, 32-ე და 35-ე წუთებზე ახალგაზრდების კარში სამი პენალტი დაინიშნა. აქ კი 16 წლამდელთა ნაკრების მეკარე დავით გოგიამ შეუძლებელი შეძლო. მან ჯერ იოსავას, შემდეგ კი ჩიქობავას აულო თერთმეტმეტრიანი, ლურსმანაშვილმა კი საერთოდ ააცილა კარს.

88-ე წუთზე შეცვლაზე შესულმა ნაჭყებიამ საჯარიმოში მიიღო ჯოჯუას გრძელი გადაცემა, შეუჩერებლად დაარტყა და მარცხენა დაბალ კუთხეში პრესტიჟის გოლი გაიტანა.

მატჩის შედეგით და თამაშის ხარისხით ფარმ-კლუბის მწვრთნელი კმაყოფილი უნდა იყოს, რასაც ვერ ვიტყვით ოდიშართა თავკაც ელგუჯა ქომეთიანზე, რომელსაც, ალბათ, ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო ექნება.

**თენგიზ ქოჩუა** ზუგდიდიდან

# ძალა შესწევთ ქადილისა!

ფოთი
6 აგვისტო
18 საათი
ფაზისი
2000 (ტევადობა 6000)

**კოლხეთი 0:0 ლოკომოტივი**

**კოლხეთი:** ქვაჩახია, ქუნთელია, ტორჩინავა, ქუტიძე, გიორგობიანი, კალანდაძე, მ. ქობულაძე (გოროზია 44), სუხიაშვილი (შავგულიძე 71), დ. ნოზაძე, გვასალია, წივწივაძე
სათადარიგონი: ჩემია, პაპავა, ჯღამაძე, ბაჩილავა, კრასოვსკი
**ლოკომოტივი:** დ. ჯანელიძე, ბალაშვილი, კაციაშვილი, ბარნოვი, თარხნიშვილი, ქვარცხავა (ბაქრაძე 70), მარლიშვილი, კ. მელქაძე, დაუშვილი, ხორგუაშვილი (გ. ქორიძე 43), ნ. მინდიაშვილი (კოტორაშვილი 54)
სათადარიგონი: ფოლაბერიძე, არსოშვილი, ერაძე, მ. მინდიაშვილი
**მსაჯები:** ა. შალამბერიძე, ჯ. გაბრიაძე (ორივე ქუთაისი), ა. ხამხარაძე (სოხუმი); ტ. ადეიშვილი (ზესტაფონი)
**სფფ-ს დელეგატი:** ვ. მელაშვილი (თბილისი)

**გიორგი ვაშაკიძე** ფოთიდან

რკინიგზელები თავიდანვე საბრძოლველად იყვნენ განწყობილი და არც მალავდნენ, თუ ვერ მოვიგებთ, ქულას მაინც წავიღებთ თბილისშიო. მართალნიც აღმოჩნდნენ. ამის საფუძველი მათ ნამდვილად ჰქონდათ. მეათე ეროვნულის დაწყებამდე თბილისელები საკმაოდ მოღონიერდნენ და რამდენიმე ძლიერი ფეხბურთელიც დაიმატეს, აქედან ორი — რუსეთიდან მობრუნებული ლუდუშაური და მონასალიძე მიზეზთა გამო მოისაკლისეს.

ფოთში სეზონი, როგორც ჩვეული ვართ, ყოველგვარი საზეიმო ცერემონიალის გარეშე გაიხსნა, მხოლოდ კაპიტნებმა აღმართეს საქართველოს ჰიმნის თანხლებით ეროვნული დროშა. ერთი რამ კი იყო საინტერესო, შეძლებდნენ თუ არა კოლხები იუგოსლავიური კოშმარიდან თავის დაღწევას. როგორც თამაშის მიმდინარეობამ გვიჩვენა, ეს ნაწილობრივ მოახერხეს კიდეც.

პირველი ნახევარი საშუალოზე ოდნავ მაღალ ტემპში წარიმართა, მეტოქეებს უმთავრესად მოედნის ცენტრისთვის უხდებოდათ ბრძოლა. მთელი ტაიმის მანძილზე ერთი-ორი მომენტი თუ შეიქმნა ორივე გუნდის კართან. რკინიგზელთაგან კოტე მელქაძე და დაუშვილი აქტიურობდნენ, სტუმრები კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გააზრებულად იცავდნენ თავს და შეძლებისდაგვარად იჩხვლიტებოდნენ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ისინი მასპინძლებს მიეწებნენ. ტაიმის მიწურულს ზღვისპირელები გააქტიურდნენ, მასპინძელთაგან აშკარად საუკეთესოებმა — ნოზაძემ და გვასალიამ საუცხოოდ გაითამაშეს კომბინაცია და ეს უკანასკნელი მეკარესთან პირისპირ დარჩა. მის დარტყმულ ბურთს კი ჯანელიძე გადაეღობა და კუთხურზე გადააგდო, ჩაწოდებულს კალანდაძე გამოეხმაურა და შეუჩერებლად დაარტყა. ჯანელიძემ ამჯერადაც იმარჯვა და სასწაულებრივი ნახტომით იხსნა კარი. ეს იყო და ეს, პირველ ტაიმში საინტერესო ალარაფერი მომხდარა.

მეორე ნახევარი, პირველისგან განსხვავებით, დაძაბულ ბრძოლაში წარიმართა. კოლხებს, სხვა თუ არაფერი, მასპინძლობა აიძულებდათ, გააქტიურებულიყვნენ. ნოზაძემ და გვასალიამ ბევრი კი იმოძრავეს, მაგრამ რკინიგზელთა ჯებირივით დაცვას ვერაფერი მოუხერხეს. „კოლხეთი" სტუმართა ნახევარზე დასახლდა და გულითაც ეწადა ანგარიშის გახსნა. სტუმრები კი პირველი შესაძლებლობისთანავე მწვავე კონტრშეტევებს ახორციელებდნენ. ნოზაძემ თავისივე ნახევრიდან მთელი მოედანი გადასერა და გვასალია მონახა, ამანაც დაუფიქრებლად წივწივაძეს დაასვა ბურთი თავზე, მაგრამ ჰამლეტს თავური არაზუსტი გამოუვიდა. წუთის შემდეგ გვასალია — სუხიაშვილ — კალანდაძის სამსვლიანი კომბინაცია გათამაშდა, ჯონის მცველი ჩაუვარდა ფეხებში და მდგომარეობა განმუხტა.

სტუმართა მწვრთნელ მახარაძეს შეცვლებმა გაუმართლა — გიორგი ქორიძე, ბაქრაძე და კოტორაშვილი აშკარად კარგად მოერგნენ თამაშს და დიდი თავსატეხიც გაუჩინეს მასპინძელთა დაცვას და მეკარეს. 73-ე წუთზე ქორიძეს შეეძლო გაეხსნა ანგარიში, როდესაც მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ ბურთის შორეულ კუთხეში გაგზავნისას სიზუსტე დააკლდა.

77-ე წუთზე კვლავ ქორიძე გაძვრა ორ მცველს შუა. ამჯერად ზღვისპირელები ძელმა იხსნა. 79-ეზე კი უკვე მასპინძლებს შეექმნათ რეალური მომენტი. გვასალიამ წივწივაძეს ჩაუკიდა, ჰამლეტმა თავური კი მოასწრო, მაგრამ ბურთის მაგივრად ბადეში თავად აღმოჩნდა.

შეხვედრის ბოლოს ორივე გუნდს დაღლილობა დაეტყო, რკინიგზელები ცდილობდნენ, ქულა წაეღოთ ფოთიდან, მაგრამ კოლხები არაფერს თმობდნენ. მსაჯის მიერ წამატებულ დროში კი კალანდაძის კუთხურიდან ჩაწოდებისას სტუმართა მეკარე დავით ჯანელიძემ მთელი შეხვედრის განმავლობაში ერთადერთი შეცდომა დაუშვა გამოსვლაზე: ქუტიძემ თავით დაარტყა და რომ არა ძელთან მდგომი კაციაშვილი, ფოთელები ბურთს მაინც გაიტანდნენ. უნდა ითქვას, რომ მსაჯებმა ობიექტურად იმსაჯეს, თუმცა მთავარი არბიტრი შალამბერიძე გადაწყვეტილების მიღებისას სათანადო პრინციპულობას ვერ იჩენდა. ასე იყო თუ ისე, რკინიგზელებმა დამსახურებულად წაიღეს ქულა ფოთიდან და თავიანთი დაპირებებიც შეასრულეს.


ჯაბა იოსელიანის ფოტო

რკინიგზელთა კაპიტან ბარნოვს (№4) და C°-ს გუშინ კოლხები ღაღანიძის გარეშეც მედგრად დაუხვდნენ

# საქართველოს ჩემპიონატის მონაწილეთა განაცხადები

საქართველოს საფეხბურთო კლუბების საჩემპიონატო განაცხადების წარდგენის ვადა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ 8 აგვისტომდე გააგრძელა, ვინაიდან ზოგიერთ გუნდს საბოლოო ვარიანტი ჯერ კიდევ არ წარუდგენია. დღევანდელ „სარბიელში" გთავაზობთ იმ რვა კლუბის განაცხადს, რომლებშიც ოდენ მცირედი ცვლილებანი თუ მოხდება.

## არსენალი
### თბილისი

| | |
|---|---|
| ლევან აბაშიძე | 23.10.76 |
| ვეფხია ამირიძე | 16.08.70 |
| ვახტანგ გველესიანი | 02.02.75 |
| მერაბ თევზაძე | 04.10.64 |
| აკაკი კაკაშვილი | 18.12.74 |
| დიმიტრი კაპანაძე | 27.05.79 |
| ლევან კორღალიძე | 21.02.80 |
| შალვა ლაცაბიძე | 25.07.75 |
| გიორგი ლომიძე | 18.01.77 |
| მუხრან მაისურაძე | 14.01.73 |
| გიორგი სულაძე | 10.05.77 |
| დავით ტარიელაშვილი | 05.05.75 |
| ზვიად ქიქავა | 17.10.73 |
| გიორგი ფირცხალავა | 03.01.65 |
| ლევან ყუფარაძე | 01.01.78 |
| ლაშა ყოლბაია | 27.08.72 |
| თემურ ჩლაიძე | 19.05.74 |
| ავთანდილ ცერცვაძე | 02.03.69 |

მწვრთნელი: ოთარ კორღალიძე
პრეზიდენტი: ჯონი ფირცხალაიშვილი

წავიდნენ: ფანცულაია, პოზოიანი, დობორჯგინიძე, ჭელიძე, გულაშვილი (ყველა უცნობია)

მოვიდნენ: ლომიძე (დილა), ყოლბაია (თსუ), კაკაშვილი (აკადემია), ქიქავა (გურია), კორღალიძე (დინამო 2)

## ბათუმი
### ბათუმი

| | |
|---|---|
| შალვა აფხაზავა | 14.08.80 |
| თუმურ გადელია | 12.02.74 |
| რომეო გოგიტაძე | 28.01.73 |
| დიმიტრი ვერემჩუკი | 08.12.75 |
| ალეკო კანტიძე | 15.09.68 |
| მირიან მალაყმაძე | 31.08.75 |
| დავით მაქაცარია | 24.12.71 |
| პაატა მაჭუტაძე | 21.04.68 |
| მალხაზ მახარაძე | 02.03.63 |
| ზურაბ მინდაძე | 13.01.72 |
| არჩილ რომანაძე | 09.16.80 |
| მამუკა რუსია | 08.12.75 |
| თენგიზ სიჭინავა | 15.03.72 |
| ნიკოლოზ ტოგონიძე | 24.04.71 |
| თემურ ტუღუში | 24.02.72 |
| ავთანდილ ღლონტი | 19.03.74 |
| გოჩა ყულეჯიშვილი | 16.12.73 |
| დავით ჭიჭვეიშვილი | 23.01.75 |

მწვრთნელი: შოთა ჭეიშვილი
პრეზიდენი: თეიმურაზ ბეჟანიძე

წავიდნენ: შეყილაძე (ლიერსი, ბელგია), ნ. მინდიაშვილი (ლოკომოტივი), ი. მახარაძე (დინამო), სოლოლაშვილი, ზირაქიშვილი (ორივე უცნობია)

მოვიდნენ: ტუღუში (ბნეი იეჰუდა, ისრაელი), გადელია (სოკოლ პუდ, რუსეთი), რუსია, ვერემჩუკი (ორივე თსუ), გოგიტაძე (მერანია)

## დინამო
### თბილისი

| | |
|---|---|
| რატი ალექსიძე | 08.09.78 |
| მიხეილ აშვეთია | 10.11.77 |
| ზურაბ ბათიაშვილი | 06.02.80 |
| დავით გვარამაძე | 08.11.75 |
| ვალტერ გუჩუა | 06.07.75 |
| გივი დიდავა | 21.03.76 |
| კახაბერ ებრალიძე | 07.03.79 |
| გივი კვარაცხელია | 11.05.79 |
| გიორგი კიკნაძე | 26.04.76 |
| ლევან კობიაშვილი | 10.07.77 |
| ივანე მახარაძე | 30.04.70 |
| ლევან მელქაძე | 12.12.79 |
| დავით მუჯირი | 02.01.78 |
| არჩილ სახვაძე | 10.03.78 |
| რამაზ სოლოლაშვილი | 23.03.77 |
| რევაზ ქემოკლიძე | 13.03.79 |
| ბესიკ შენგელია | 09.02.77 |
| გიორგი შენგელია | 03.01.79 |
| ლევან ცქიტიშვილი | 10.10.76 |
| ლევან ხომერიკი | 20.01.74 |
| ზვიად ჯელაძე | 16.12.73 |

მწვრთნელი: მურთაზ ხურცილავა
პრეზიდენტი: მერაბ ჟორდანია

წავიდნენ: ლობჟანიძე, გ. ჭანტურია, ზოიძე (სამივე უცნობია), არსოშვილი (ლოკომოტივი)

მოვიდნენ: ი. მახარაძე (ბათუმი), გ. შენგელია (ტორპედო) ბ. შენგელია (რუსთავი) ლ. მელქაძე, ბათიაშვილი (ორივე თსუ), გვარამაძე (სკონტო, ლატვია), ებრალიძე, სოლოლაშვილი (ორივე ოდიში), ლ. კობიაშვილი-(ფრაიბურგი, გერმანია)

## ვიტ ჯორჯია
### თბილისი

| | |
|---|---|
| დიმიტრი აბაზაძე | 22.06.72 |
| არჩილ ბოკერია | 13.01.78 |
| თამაზ ბოკერია | 03.07.78 |
| გრიგოლ გვაზავა | 03.08.76 |
| ზვიად გვაზავა | 17.09.78 |
| ვლადიმერ გოჩაშვილი | 05.07.76 |
| კოტე გუგუნავა | 08.08.73 |
| კახა დვალიშვილი | 22.07.71 |
| დავით დოლიძე | 09.02.80 |
| თენგიზ ენუქიძე | 30.03.79 |
| ირაკლი კაპანაძე | 01.01.75 |
| ლევან კვიციანი | 07.07.78 |
| ვასილ მაისურაძე | 01.01.71 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | 30.01.80 |
| ჯაბა მუჯირი | 07.06.80 |
| ლაშა ნოზაძე | 18.03.80 |
| ვლადიმერ ქუთათელაძე | 04.07.78 |
| გიორგი ლამბაშიძე | 16.05.80 |
| გიორგი ჭანკოტაძე | 04.10.77 |
| იგორ ჭოხონელიძე | 08.06.76 |
| სერგო ჭურაძე | 10.07.77 |

მწვრთნელი: სპარტაკ არჩვაძე
პრეზიდენტი: გურამ რუხაძე

წავიდნენ: ჯანელიძე (ლოკომოტივი), ჭუმბურიძე, გ. ილურიძე (ორივე თსუ), კევლიშვილი, მ. ბურდული, ალავიძე (სამივე უცნობია)

მოვიდნენ: აბაზაძე, ი. კაპანაძე (ორივე მერანი), ა. ბოკერია, ზ. გვაზავა, მენთეშაშვილი (სამივე მეტალურგი), გ. გვაზავა, ჯ. მუჯირი (ორივე თსუ), ენუქიძე (ლოკომოტივი), ჭანკოტაძე, კვიციანი (ორივე შსს აკადემია), ჭურაძე (უცნობია)

## თსუ
### თბილისი

| | |
|---|---|
| დავით არჩვაძე | 06.10.79 |
| ირაკლი ბახტაძე | 10.03.78 |
| გიორგი გაბელია | 29.01.77 |
| გიორგი ილურიძე | 19.10.76 |
| ალეკო ინწკირველი | 24.08.81 |
| დემურ კაკუბავა | 23.10.72 |
| თენგიზ კობიაშვილი | 03.12.75 |
| ზაზა ზამთარაძე | 06.09.76 |
| ლევან მაღრაძე | 05.12.77 |
| მირზა მერლანი | 05.10.80 |
| გიორგი ნიკურაძე | 01.01.79 |
| კობა ნინუა | 23.09.79 |
| ოთარ როსტიაშვილი | 15.05.76 |
| კახაბერ სვანიძე | 17.07.76 |
| ოთარ სულაძე | 06.12.79 |
| დავით ცომაია | 04.09.67 |
| გიორგი ჭიაბრიშვილი | 07.10.79 |
| კახა ჭუმბურიძე | 13.08.70 |

მწვრთნელი: ოთარ გაბელია
პრეზიდენტი: ?

წავიდნენ: დევიძე, ხარებავა (ორივე მერანი), რუსია, ვერემჩუკი (ორივე ბათუმი), გ. ქორიძე, კ. მელქაძე (ორივე ლოკომოტივი), ბათიაშვილი, ლ. მელქაძე (ორივე დინამო), ყოლბაია (არსენალი)

მოვიდნენ: ცომაია, ჭიაბრიშვილი, დ. არჩვაძე (სამივე მეტალურგი), გ. ილურიძე, ჭუმბურიძე (ორივე ვიტ ჯორჯია), კაკუბავა (ლოკომოტივი), მაღრაძე (მარგვეთი), გაბელია (ოდიში)

## ლოკომოტივი
### თბილისი

| | |
|---|---|
| დიმიტრი არსოშვილი | 19.06.76 |
| გიორგი ბალაშვილი | 07.08.73 |
| პაატა ბარნოვი | 15.11.73 |
| დავით ბაქრაძე | 06.06.79 |
| კახაბერ დაუშვილი | 05.07.73 |
| ლევან დოლაბერიძე | 10.05.71 |
| მალხაზ ერაძე | 23.09.73 |
| ვაჟა თარხნიშვილი | 25.08.71 |
| გენადი კაციაშვილი | 10.03.70 |
| ვალერი კოტორაშვილი | 02.05.77 |
| როინ მარლიშვილი | 04.09.71 |
| კოტე მელქაძე | 24.12.70 |
| მახარე მინდიაშვილი | 17.08.76 |
| ნიკოლოზ მინდიაშვილი | 05.03.75 |
| მამუკა ქვარცხავა | 17.01.69 |
| გიორგი ქორიძე | 19.07.76 |
| ზურაბ ხორგუაშვილი | 12.08.70 |
| დავით ჯანელიძე | 09.02.73 |

მწვრთნელი: თემურ მახარაძე
პრეზიდენტი: აკაკი ჩხაიძე

წავიდნენ: ენუქიძე (ვიტ ჯორჯია), კაკუბავა (თსუ), გ. კვეტენაძე, ხუციშვილი (ორივე მერანი), ი. ხუჯაძე (მეტალურგი), გოდერძიშვილი, ზ. არჩვაძე, ვოლკოვი, ქველაძე, ვასაძე, ცოტაძე, ახალაძე (ყველა უცნობია)

მოვიდნენ: დ. ჯანელიძე (ვიტ ჯორჯია), ხორგუაშვილი, მარლიშვილი, თარხნიშვილი, ბალაშვილი, მ. მინდიაშვილი (ყველა დილა), ნ. მინდიაშვილი (ბათუმი), კაციაშვილი (მარგვეთი), გ. ქორიძე, კ. მელქაძე (ორივე თსუ), არსოშვილი (დინამო)

## მერანი
### თბილისი

| | |
|---|---|
| ედიშერ ალადაშვილი | 03.08.77 |
| გურამ ასპინძელაშვილი | 01.01.73 |
| ლევან ბაჯელიძე | 02.10.78 |
| შალვა ბერაია | 17.06.76 |
| მირიან გეწაძე | 18.05.72 |
| გიორგი დავითნიძე | 18.08.78 |
| შერმადინ დანელია | 23.04.73 |
| იოსებ დევიძე | 05.07.80 |
| შალვა ივანიშვილი | 07.06.72 |
| გიორგი კვეტენაძე | 23.12.72 |
| გიორგი ლომაია | 08.08.79 |
| გიორგი მაზანიშვილი | 15.05.73 |
| მიხეილ მესხი | 07.04.78 |
| რევაზ ნაჭყეპია | 14.04.72 |
| ზაზა ცქიფურიშვილი | 10.01.75 |
| მალხაზ ჭინჭარაული | 22.04.77 |
| გურამ ხარებავა | 29.08.76 |
| მიხეილ ხუციშვილი | 28.06.76 |
| დავით ჯიშკარიანი | 28.01.67 |

მწვრთნელი: სერგო გაბელაია
პრეზიდენტი: ნუგზარ ნავაძე

წავიდნენ: აბაზაძე, ი. კაპანაძე (ვიტ ჯორჯია), გოგიტაძე (ბათუმი), დავითაშვილი (ცსკა, ბულგარეთი), ა. ხორხელი (ლოკომოტივი, ნ-ნ, რუსეთი), ინიაშვილი (გურია), ბუხრიკიძე, საბიაშვილი (ორივე უცნობია)

მოვიდნენ: ხარებავა, დევიძე (ორივე თსუ), ხუციშვილი, გ. კვეტენაძე (ლოკომოტივი), ლომაია, ბაჯელიძე (დინამო 2), ასპინძელაშვილი (ვიტ ჯორჯია), ცქიფურიშვილი (ოდიში)

## ტორპედო
### ქუთაისი

| | |
|---|---|
| დავით ასლანაძე | 16.11.76 |
| ირაკლი ვაშაკიძე | 13.03.76 |
| ზაზა ვაჩიბერაძე | 25.10.73 |
| ვახტანგ თურმანიძე | 16.01.73 |
| ზურაბ იონანიძე | 02.12.71 |
| კახაბერ კვეტენაძე | 03.06.70 |
| დავით მამარდაშვილი | 17.10.77 |
| ირაკლი მაღლაკელიძე | 28.02.73 |
| გიორგი მეგრელაძე | 21.07.78 |
| კოტე მეტრეველი | 27.08.74 |
| არჩილ ჩხაბერიძე | 24.08.71 |
| გიორგი ყიფიანი | 12.08.78 |
| ალეკო შეყრილაძე | 30.08.77 |
| გიალო ჩხაიძე | 27.02.70 |
| კახაბერ ჩხეტიანი | 24.02.78 |
| დავით ჯანაშია | 07.08.72 |
| მალხაზ ჯინჭარაძე | 20.02.71 |
| პაატა ჯინჭარაძე | 21.10.74 |

მწვრთნელი: სოსო ფრუიძე
პრეზიდენტი: ბესიკ ჯიქია

წავიდნენ: შ. ხუჯაძე (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა ან მონპელიე, საფრანგეთი), გ. შენგელია (დინამო), ლ. ქობულაძე (სამგურალი)

მოვიდნენ: პ. ჯინჭარაძე (?, კვიპროსი), ყიფიანი (მეტალურგი)

# ახალგაზრდა ბებერი ქალბატონი

იტალიელთათვის მსოფლიოს ჩემპიონატი მეოთხედფინალში დასრულდა — ლუიჯი დი ბიაჯომ გააქარწყლა იმედები, იმედები მსოფლიოს ჩემპიონატის მოგებისა. სენ დენის „სტად დე ფრანსზე“ „სკუადრა ადურამ“ ვერ დაამარცხა მასპინძელი საფრანგეთის ნაკრები. არც თავად მოიყარა მუხლი, მაგრამ ოქროს თასისთვის ბრძოლა მაინც მასპინძლებმა გააგრძელეს. საბოლოოდ მსოფლიოს ახალი, მეშვიდე ჩემპიონი მოევლინა საფრანგეთის სახით, აპენინელები კი სამგზის ჩემპიონებად დარჩნენ.

ის, რომ იტალიამ მასპინძელთა ძლევა ვერ მოახერხა, ბევრის აზრით, მწვრთნელის, ჩეზარე მალდინის არასწორი ტაქტიკის შედეგი იყო, ასევე დელ პიეროს აშკარად სუსტი თამაშისა. მამა მალდინი ძირითადში რობერტო ბაჯოს სწორედ ალესანდრო დელ პიეროს ანაცვალებდა, ეს უკანასკნელი კი ვერა და ვერ თამაშობდა. თავდამსხმელი ვერ იყო სათანადო ფორმაში.



სარბიელის არქივიდან

ბებერი ქალბატონის ორდენის რაინდები გამალებით ემზადებიან

ტკივილი, მსოფლიოს ჩემპიონატიდან გამოვარდნას რომ მოჰყვა, კარგა ხანია, მოშუშდა. მოთამაშეებიც, გარკვეული სტრესის შემდეგ, ჩვეულებრივ საფეხბურთო ცხოვრებას დაუბრუნდნენ — გაუთავებელი ვარჯიშები, შეკრებები, ამხანაგური თამაშები, ახალი სეზონისთვის მზადება.

იტალიის ჩემპიონი „იუვენტუსი“ მზადებს თითქმის სამი კვირაა შეუდგა. „ბებერი ქალბატონის“ შემადგენლობა გარკვეულწილად გადახალისდა, თუმცა ბირთვი ძირითადად იგივე დარჩა — დელ პიერო, ზიდანი, დავიდსი და ასე შემდეგ. თავდაპირველად იყო რამდენიმე ამხანაგური თამაში პროვინციულ კლუბებთან, შემდეგ სამი ტურნირი მილანში. წინ კიდევ უამრავი თამაშია, სერია A-ც უფრო და უფრო ახლოვდება.

პირველად იყო პონტემიალო, გენუას ახლოს მდებარე პატარა დაბა. „იუვენტუსი“, ქვეყნის უძლიერესი და ამავდროულად ყველაზე ტიტულოვანი კლუბი ეწვია სოფელს, რათა იქაურებთან ბურთი ეგორებინა! ეგებ ეს წარმოუდგენელიც ჩანდეს, მაგრამ ასეა — სეზონის წინ „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ ამხანაგურად ეჯიბრებიან ხოლმე სოფლის გუნდებს. ამით სეზონისწინა მზადების პირველ ეტაპსაც გადიან, ამავდროულად გულშემატკივრების გულსაც იგებენ.

პონტემიალოში ტურინელებმა 6:0 იმარჯვეს — დელ პიერომ სამი გოლი გაიტანა, თითოც ტაკინარდიმ, პეკიამ და მონტერომ შეაგდეს.

— ვგრძნობ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატიდან იტალიის გამოთიშვაში ერთ-ერთი მთავარი დამნაშავე ვარ. საფრანგეთში აშკარად ვერ ვითამაშე, არადა, მენდნენ. ახლა მორიგი სეზონი ახლოვდება, მინდა დავამტკიცო, რომ მსოფლიოს პირველობაზე ჩემი ცუდი გარჯა დროებითი ჩავარდნის ბრალი იყო და სხვა რაიმე სერიოზული მიზეზი არ ყოფილა, „იუვენტუსი“ კვლავ პირველობისთვის იბრძოლებს — გნებავთ, სერია A-ში, გნებავთ, ჩემპიონთა ლიგაში! — განუცხადა „კორიერო დელა სერას“ დელ პიერომ.

ძნელია, წინასწარ განჭვრიტო, ახალ სეზონში ვინ როგორ იასპარეზებს, მაგრამ თუ ამხანაგურ მატჩებში დელ პიეროს თამაშს გააანალიზებ, აუგს ნამდვილად ვერ იტყვი. აქვე იმის დამტკიცებაც უპრიანი იქნება, რომ სერია A მაინც უმაღლესი დონის ლიგაა. „პონტემიალო“ და ძმანი მისნი კი, რაც უნდა იყოს, სოფლის გუნდებია.

მეორედ იყო კორეჯილო, სოფელი მილანის მახლობლად. ის, თუ ვინ მოიგებდა დაპირისპირებას, ძნელი გამოსაცნობი არაა, საკითხავი მხოლოდ ანგარიშია. 13:0 — სწორედ ასეთი უპირატესობით იმარჯვა აწ უკვე 101 წლის „იუვენტუსმა“. ბომბარდირი კვლავ დელ პიერო გახლდათ ექვსი გოლით. ინძაგიმ ჰეთ-თრიქი შეაგდო, ორი დი ლივიომ გაიტანა, თითოც ზალაიეტამ და ფონსეკამ.

— ყოველი ახალი სეზონი უფრო და უფრო ძნელი მეჩვენება. წლეულს ჩემპიონობის მოპოვება ძალიან გაგვიძნელდა, ახლა კიდევ უფრო რთული იქნება სკუდეტოს მოგება. „ინტერი“ ძალიან გაძლიერდა, „ლაციოც“, „პარმაც“. „მილანი“ კვლავ გვპირდება ცვლილებებს, მაგრამ ვნახოთ. ჩვენ კვლავ პირველობისთვის ვიბრძოლებთ. „იუვენტუსი“ მუდამ „იუვენტუსად“ დარჩება, გუნდად, ყველგან და ყოველთვის გამარჯვებისთვის რომ იბრძვის. დელ პიეროს დარად მსოფლიოს ჩემპიონატზე ფილიპო ინძაგისგანაც ბევრს ელოდნენ, მაგრამ „პიპოსაც“ ვერ წაუვიდა საქმე სასურველად.

შარშან დელ პიერომ და ინძაგიმ ერთად 39 გოლი გაიტანეს, რითაც სერია A-ს საუკეთესო თავდამსხმელ წყვილად იქცნენ, მაგრამ მიუხედავად შესანიშნავი მიღწევისა, უდიდეს საფეხბურთო ტურნირზე ვერც ერთმა ვერ ივარგა, არადა, მათი იმედი ბევრს, მათ შორის, ჩეზარე მალდინისაც ჰქონდა. ახლა, ჩემპიონატის დაწყების წინ, ორივე იძახის, ვეცდებით, სიძლიერე დავამტკიცოთო. ჩვენც რაღა დაგვრჩენია, ცოტაც მოვიცადოთ და სექტემბერში იტალიის ჩემპიონატიც დაიწყება.

კორეჯილოს მონტოვას „სენტ ანდრასთან“ დაპირისპირება მოჰყვა, თუმცა იმ თამაშზე „იუვენტუსი“ საერთოდ მეორე შემადგენლობით გაემგზავრა. მარჩელო ლიპის ქალიშვილი გაუბედნიერდა, ფეხბურთელთა უმეტესობაც მწვრთნელის შვილის ქორწილში გახლდათ. „სენტ ანდრია“ ქვეყნის ჩემპიონთა სათადარიგო შემადგენლობამ 5:1 იმსხვერპლა — ტაკინარდიმ ორი გოლი გაიტანა, დიმაშმა, სერვინომ და კოლოსიმ კი თითო-თითო.

ტურინელებმა სუსტ მეტოქეებთან გაჯიბრება მონტოვაში დაასრულეს, შემდეგ კი ხუთი დღე ალპებში ემზადებოდნენ, ბუნებაში ჩაფლული, შვეიცარიის საზღვართან მდებარე „კერილი ვიარეჯოს“ ბაზაზე. დღეში სამჯერადი ვარჯიში, შიგადაშიგ ერთმანეთში ბურთის გორება, ტაქტიკური მეცადინეობები, კომბინაციების დამუშავება, ფსიქოლოგიური კონსულტაციები და კიდევ ბევრი სხვა რამ — ყოველივე ეს „იუვენტუსის“ ამ შეკრებისას ხდებოდა.

— წინ ახალი სეზონია, ჩემპიონატი, რომელშიც უნდა დავამტკიცოთ, რომ ბოლო ორი წელი ჩემპიონები შემთხვევით არ ვხდებით. რა შემიძლია ჯერჯერობით ვთქვა? ფეხბურთელები ჯანმრთელად არიან, მუხლჩაუხრელად ემზადებიან. იმედი გვაქვს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდგომ ფსიქოლოგიურ ბარიერს ადვილად გადავლახავთ და მთლიანად სერია A-სა და ჩემპიონთა ლიგაზე გადავერთვებით. გაზაფხულზე „იუვენტუსი“ იტალიის ჩემპიონი გახდა, ჩემპიონთა ლიგის ფინალში კი ზედიზედ მეორედ დამარცხდა. ჩვენი ძირითადი მიზანი ახლა სწორედ ლიგისა და პირველობის მოგებაა. ყველა დანარჩენი კლუბისთვის მეორეხარისხოვანია — მარჩელო ლიპი იმედიანადაა. თუ მწვრთნელი არ ღელავს, ესე იგი, ყველაფერი რიგზეა. ვინ იცის? შემოდგომა, მოგვიანებით კი ზამთარიც ჩემპიონთა თასის ფინალში ძლეული „იუვენტუსის“ მდგომარეობას ნათლად დაგვანახებს.

...მოახლოებული იტალიის ჩემპიონატი მართლაც ძალიან საინტერესო უნდა იყოს. სერია A მუდამ გამოირჩეოდა ძლიერი შემადგენლობით, მაგრამ ყოველი ახალი სეზონის წინ ისე ჩანს, თითქოს ლიგა უფრო ძლიერდება. განა ახლაც ასე არაა? — მდიდარმა აპენინურმა კლუბებმა კვლავ გადაიბირა მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავები, სერია A-ს ლეგიონიც კიდევ უფრო წარმომადგენლობითი გახდა. „მილანმა“ ოლივერ ბირჰოფი, რობერტო აიალა, იენს ლემანი, „ინტერმა“ რობერტო ბაჯო, „ლაციომ“ მარსელო სალასი, „პარმამ“ აბელ ბალბი, „სამპდორიამ“ არიელ ორტეგა შეიძინეს, შიდა იტალიური ტრანსფერიც საკმაოდ განხორციელდა. ასე რომ, ახალი სეზონის წინ თამამად შეიძლება (უკვე მერამდენედ) ითქვას:

სერია A კვლავაც მსოფლიოს უძლიერეს ლიგად რჩება!

**ლაშა გოდუაძე**

# ამბავი არიელისა და გაბრიელისა

გახდება არგენტინა მსოფლიოს ჩემპიონი თუ ვერა, მნიშვნელობა არ აქვს, ამ ქვეყნის ფეხბურთელები მარად საუკეთესოთა შორის არიან.

საფრანგეთში დიდი დიეგოს შემდგომი თაობა მეოთხედფინალში დამარცხდა ჰოლანდიასთან, მაგრამ მისი მოთამაშეებისადმი ინტერესი მსოფლიოს წამყვან კლუბებს არ დაუკარგავთ. ფოტოზე არიელ ორტეგას ხედავთ, იტალიური „სამპდორიას“ ახალ შენაძენს, რომელსაც გენუის გუნდში გუშინ პრეზენტაცია ჰქონდა. მას გულშემატკივართა და პრესის წარმომადგენელთა თანდასწრებით მეათე ნომრიანი მაისური გადასცეს.




REUTERS გაზეთიდან

რაც შეეხება ორტეგას თანამემამულეს, მრისხანე ფორვარდს გაბრიელ ბატისტუტას, მან აწ უკვე შესისხლხორცებულ კლუბთან, ფლორენციის „ფიორენტინასთან“ კიდევ ოთხი წლით გააგრძელა თანამშრომლობა.

ბატიგოლად წოდებული თავდამსხმელის გადაბირებას ცდილობდნენ „პარმა“, „ლაციო“, „მილანი“ და ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედი“, მაგრამ გაბრიელმა 2003 წლამდე ჩვეულ ადგილას დარჩენა ამჯობინა.

— ყველაფერი თავის ადგილზეა. ასეთი გადაწყვეტილების მიღება იოლი არ გახლდათ, უამრავი პრობლემა მიშლიდა ხელს, მაგრამ მათაც ვძლიე და თავსაც — განუცხადა ფეხბურთელმა ჟურნალისტებს.

შეგახსენებთ, რომ ბატისტუტა „ფიორენტინაში“ „ბოკა ხუნიორსიდან“ 1991 წელს გადავიდადა ხალხს თავი ისე შეაყვარა, ძეგლიც კი დაუდგეს.

ფლორენციელთა შემადგენლობაში მან 123 გოლი გაიტანა, გასულ სეზონში — 21

## ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისის** ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი, დევიდ ჰირსტი დაშავდა და, შესაძლოა, თავის კლუბ „საუთჰემპტონს“ სეზონის დასაწყისში ველარ დაეხმაროს. ჰირსტს, რომლის საფეხბურთო კარიერაც აღსავსეა ტრავმებით, ერთ-ერთ ბოლო ვარჯიშზე სირბილისას ფეხი ამოუბრუნდა და მყესები გაუწყდა. მან, აგრეთვე, მუხლიც დაიზიანა. ადგილობრივ ჟურნალისტებთან საუბრისას ფეხბურთელმა აღნიშნა, რომ აღდგენითი პროცესი ნორმალურად მიმდინარეობს და სავარაუდოდ, იგი ერთ თვეში თამაშს შეძლებს, თუმცა ექიმის თქმით, ჰირსტს შეიძლება ოპერაცია დასჭირდეს. თუ ასე მოხდა, ფორვარდს მთელი სეზონის გამოტოვება მოუწევს.

**ავსტრიის** ნაკრებისა და ბრემენის „ვერდერის“ ნახევარმცველი, ანდრეას ჰერცოგი თავისი ქვეყნის პირველ შეხვედრას ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში გამოტოვებს. ეს მატჩი 5 სექტემბერს გაიმართება და ავსტრიის ნაკრები ისრაელის გუნდს დაუპირისპირდება. ჰერცოგის უთამაშებლობის მიზეზი ფეხის სერიოზული ტრავმაა, რომელიც მან ამ რამდენიმე დღის წინ ვარჯიშზე მიიღო. ნაკრების ექიმის, ვოლფგანგ გრამანის თქმით, ფეხბურთელი ორი თვის განმავლობაში ვერ შეძლებს მოედანზე გამოსვლას. აქედან გამომდინარე, ჰერცოგი ვერც ბუნდესლიგის გათამაშების საწყის ეტაპზე ითამაშებს და ვერც მსოფლიოს ჩემპიონ საფრანგეთის ნაკრებთან ამხანაგურ შეხვედრაში, რომელიც 19 აგვისტოს გაიმართება. იმავე გრამანის განცხადებით, ჰერცოგი შარშან ოქტომბერში, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ბელარუსის ნაკრებთან თამაშის დროსაც დაშავდა და მაშინაც ფეხი დაიზიანა. 29 წლის ფეხბურთელის არყოფნით ძლიერ განაწყენებული ყოფილა ავსტრიელთა თავკაცი, ჰერბერტ პროჰასკა: „ეს ძალიან ცუდი ამბავია. ჰერცოგი ჩვენ ისრაელთან ისე გვჭირდებოდა, როგორც არასდროს“ — აღნიშნა მან.

**ფრანგი** თავდამსხმელი, სამასი აბუ პრემიერლიგური „ვესტ ჰემ იუნაიტედიდან“ პირველ დივიზიონში მოასპარეზე „ბრედფორდ სიტიში“ გადავიდა, მიუხედავად იმისა, რომ იგი მალარიით არის დაავადებული და ჯერ კიდევ მკურნალობს. 24 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ „ვესტ ჰემი“ „ბრედფორდისგან“ 900 ათას გირვანქას (1,48 მილიონი დოლარი) მიიღებს. კონტრაქტის ვადები ჯერჯერობით უცნობია.

**უელსის** ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი, იან რაში ამიერიდან ინგლისის მეორე დივიზიონის „ვრექსჰემის“ მოთამაშე მწვრთნელი იქნება. თავის ახალ კლუბთან მან ერთწლიანი ხელშეკრულება გააფორმა. პირველ, სადებიუტო შეხვედრას რაში და მისი გუნდი შაბათს „რედინგის“ წინააღმდეგ გამართავს. რაშმა, რომელიც ოქტომბერში 37 წლის გახდება, რამდენიმე უფრო სერიოზული და სარფიანი წინადადება უარყო იაპონიისა და ევროპის სხვადასხვა კლუბებიდან. თავის სატელევიზიო ინტერვიუში მან ეს ამბავი შემდეგნაირად ახსნა: „მიუხედავად უამრავი შემოთავაზებისა, „ვრექსჰემის“ ვარიანტი ვარჩიე. ასეთ სამუშაოზე ყოველთვის ვოცნებობდი, თანაც დარწმუნებული ვარ, აქ გატარებული ერთი სეზონი მომავალ სამწვრთნელო კარიერაში ძლიერ დამეხმარება. ამ გუნდში ბევრს ვისწავლი“. უელსის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირმა (73 სანაკრებო შეხვედრაში 28 გოლი) შარშანდელი სეზონი „ნიუკასლ იუნაიტედში“ გაატარა, მანამდე კი „ლივერპულის“, ტურინის „იუვენტუსისა“ და ლიდს იუნაიტედის“ ღირსებას იცავდა.

**ინგლისის** ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი, ამჟამად „ნიუკასლ იუნაიტედში“ მოთამაშე სტიუარტ პირსი ავტოავარიაში მოჰყვა. ეს ოთხშაბათს მოხდა, როდესაც თავის მანქანაში მარტო მჯდომი პირსი მეორე მანქანას დაეჯახა. იგი და კიდევ ორი ადამიანი ნოტინგემში მდებარე „ქუინს მედიქალ ცენტრში“ მოათავსეს. „ექიმების თქმით, კრიზისმა უკვე განვლო და პირსი გამოჯანმრთელების გზას ადგას. ამასთანავე, ვეტერანმა მცველმა ჟურნალისტებს სთხოვა, გულშემატკივრებს გადაეცით, თავს მშვენივრად ვგრძნობ, ნუ ინერვიულებენო.

**ინგლისის** ჩემპიონისა და თასის მფლობელის, ლონდონის „არსენალის“ ფრანგ თავკაცს, არსენ ვენგერს დიდი იმედი აქვს, რომ უახლოეს დღეებში შვედური „ლუგანოდან“ არგენტინელ მცველ ნელსონ ვივასს გადაიბირებს. როგორც სარწმუნო წყაროები იუწყებიან, ვენგერი მზად არის, ფეხბურთელის სანაცვლოდ „ლუგანოს“ 2 მილიონი გირვანქა (3,2 მილიონი დოლარი) გადაუხადოს. „ჩვენ დიდი სურვილი გვაქვს, ვივასის „არსენალში“ ხილვისა და ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ“ — განაცხადა „მეთოფეთა“ მთავარმა მწვრთნელმა. შეგახსენებთ, რომ ლონდონურმა კლუბმა წლეულს მხოლოდ ერთი ფეხბურთელი შეიძინა — ფრანგი მცველი, დევიდ გრონდინი. ამასთანავე, ვენგერმა უარყო ხმები, თითქოს „არსენალი“ მადრიდის „რეალის“ ჰოლანდიელი ნახევარმცველის, კლარენს ზეედორფის დაყაბულებას ცდილობს: „კლარენსი ძალიან მომწონს, იგი მაღალი დონის, ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარმცველია, მაგრამ მის ამპლუაში საკმაოდ ბევრი ნიჭიერი და პერსპექტიული ახალგაზრდა გვყავს, ისეთები, რომლებიც დევიდ პლატს ღირსეულად შეცვლიან. მე უფრო სხვა პოზიციები მაღელვებს“ — განაცხადა არსენ ვენგერმა.

**ინგლისის** ვიცე-ჩემპიონის, „მანჩესტერ იუნაიტედის“ მთავარმა მწვრთნელმა, ალექს ფერგიუსონმა კრიტიკის ქარცეცხლში გაახვია ჰოლანდიის ნაკრებისა და იტალიური „მილანის“ ახალგაზრდა ფორვარდი, პატრიკ კლუივერტი. საქმე ისაა, რომ მანჩესტერელთა თავკაცი ფეხბურთელის სანაცვლოდ „მილანს“ 9 მილიონ გირვანქას (15 მილიონი დოლარი) უხდიდა, კლუივერტმა კი მასთან საუბარიც არ ისურვა: „შესაძლოა, იგი ვერ ათვითცნობიერებს, თუ რა დიდი კლუბია „მანჩესტერ იუნაიტედი“ და კარიერის მოწყობის რა საუცხოო შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან. მან ჩვენთან საუბარიც კი არ იკადრა, რაც ძლიერ სამწუხაროა. ჩვენ გვჯეროდა, რომ კლუივერტი პრემიერლიგაში მოისურვებდა თამაშს და ეს რომ ასე არ მოხდა, ვფიქრობ, პირველ ყოვლისა, მისი აგენტის ბრალია. ახლა შევიტყვეთ, რომ მას ლონდონში ჩასვლა სურს. რას იზამ, თუ პატრიკმა ასე გადაწყვიტა, ჩვენ ველარაფერს გავაწყობთ“ — აღნიშნა ფერგიუსონმა და დაამატა, რომ მას შემდეგ, რაც კლუივერტმა მანჩესტერში გადასვლაზე უარი განაცხადა, იგი გაორმაგებული ძალით შეეცდება მეორე სასურველი ფეხბურთელის — „ასტონ ვილას“ თავდამსხმელის, დუაიტ იორკის გადაბირებას.

**ჰონკონგის** ფეხბურთის ფედერაციამ თავდამსხმელი ჩან ც-კონგი სამუდამოდ მოკვეთა ფეხბურთიდან. მას გასულ სეზონში ქვეყნის ნაკრების თამაშის გაყიდვა დაუმტკიცდა. 26 წლის ჩანი უკვე ციხეშია, სადაც ტაილანდელთათვის მატჩის დათმობის გამო, ერთ წელიწადს გაატარებს. აღსანიშნავია, რომ ამ თავდამსხმელის დატუსაღებით გამოძიება არ დამთავრებულა. კორუფციასთან მებრძოლი დამოუკიდებელი კომისიის განცხადებით, კიდევ ხუთი ფეხბურთელი და 24 სხვა მოქალაქეა ეჭვმიტანილი. „ჩანის საქციელმა ჰონკონგის და მისი ფეხბურთის ღირსება შებღალა“ — განაცხადა „საუს ჩაინა მონინგ პოსტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში პროკურორმა, პიტერ ლუნგ ჩუ-ჩიმ. მოსალოდნელია, რომ თავიანთი სანქციებით საქმეში ჩაერევიან აზიის ფეხბურთის კონფედერაცია და ფიფა. დაპატიმრებული ჩანი „სინგ ტაოს“ მარცხენა გარემარბი და ნაკრების უცვლელი წევრი გახლდათ. შეხვედრა, რომლის გაყიდვაც მას დაუმტკიცდა, ჰონკონგმა ტაილანდთან 0:2 წააგო.

**საფრანგეთის** ნაკრების ყოფილმა ნახევარმცველმა დანიელ დუტუელმა ესპანურ „ვალიადოლიდთან“ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ადრე „ოსერში“, „ოლიმპიკში“ და „ბორდოში“ მოთამაშე დუტუელი ესპანეთში ორი წლის წინ გადაბარგდა და „სელტაში“ გამოდიოდა, „ვალიადოლიდში“ იგი თავისუფალი ტრანსფერით გადავიდა.

დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო. ერთი ამბავია ატეხილი. დღე ისე არ გავა, შენგენის ევროპიდან ახალი ცნობა არ მოფრინდეს: სუპერლიგა ასე, სუპერლიგა ისე...

ეტყობა, მართლა რაღაც სერიოზული ხდება. მდიდრებს და ძლიერებს აღარ აკმაყოფილებთ ის, რაც აქვთ, თქვენთვის აღარ გვცალიაო, შემოგვითვალეს სუსტებს და ღარიბებს და გრანდიოზულ გეგმათა დაწყობას მიჰყვეს ხელი.

ალალად რომ ვთქვათ, მართლებიც არიან. ვინც მდიდარი და ძლიერი არ არის, თავს დააბრალოს, ხოლო დაწინაურებულთ ფეხებში ნე გაებლანდება.

უთუოდ რაღაც განსაკუთრებული ხდება, თუმცა არც თუ იოლად. მაგალითად, ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი ასე მსჯელობს: სტადიონებზე ბურთაობა ყოვლად მიუღებელია, თუნდაც ამ მატჩებს ტელევიზია გადასცემდეს. ამიტომაც საქმე ქომაგების სასარგებლოდ უნდა მოვაწყოთ.“

მაშ ასე, საქმეში უეფა ჩაერია, ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და ინიციატივა ხელთ იგდო, თუმცა უფრო დაწვრილებით თავის გეგმათა შესახებ არაფერი უთქვამს.

ცნობილია ერთი რამ, სუპერლიგის მოსურნე სუპერკლუბებს ისეთი შეჯიბრების ჩამოქნა სურთ, მარტო თვითონ რომ ითამაშებენ ანუ საუბარია იმაზე, რომ ბოლო ადგილებზე გასული გუნდები არსად გავარდებიან, უბრალოდ ბოლოზე გავლენ და მორჩა. უეფას ასეთი წესი არაფრად არგებს, მაშინ ეროვნული ჩემპიონატები განზე რჩება, ამიტომ, გამოყონილ ხმათა თანახმად აქაც კომპრომისულ ვარიანტს ეძებს. თითქოს

# აიგნერი უჯრას აღებს

„სუპერლიგაზე ლაპარაკი ჯერ მაინც ჰიპოთეტურია. ორმოცდაათი წელიწადია, დაახლოებით ერთნაირ იდეებს ვუსმენ, ასე რომ, არა მგონია, დღესვე რაიმე მოხდეს. ვფიქრობ, ბოლოდროინდელი ამბები იმ ადამიანთა წამოწყებულია, ვინც თვლის, რომ სატელევიზიო შემოსავლის გაზრდა კიდევ გვარიანად შეიძლება, მაგრამ გული მეუბნება, რომ სუპერლიგამდე დიდი გზაა გასავლელი.“

ისინი, ვინც შემოსავალს ელიან ანუ კომერსანტები, ჩუმ-ჩუმად უკვე იკრიბებიან და პროექტებს ადგენენ. ამბობენ, სუპერლიგის დაარსებით დაინტერესებულ კლუბებთან მოლაპარაკებებს ბრიტანეთის იურიდიული ფირმები, იტალიური, კერძოდ, მილანური კომპანია „მედია პარტნერზი“ და აშშ-ის საინვესტიციო ბანკი ჯეი-პი მირგანი აწარმოებენო. მათი ვარაუდით, თურმე ყველაფერი 2000 წლისთვის დალაგდება.

სუპერლიგა თუ ამოქმედდა, კონტინენტის სუპერკლუბები მართლაც საარაკო თანხებს შეეთამაშებიან და მაშინ ნახეთ ფეხბურთელთა ხელფასები. ზოგი ექსპერტის გამოთვლით, თითოეულ კლუბს წელიწადში 32,9 მილიონი დოლარი დარჩება.

ადვილი წარმოსადგენია, ახალი შეჯიბრებებისადმი რა ინეტერსს გამოიჩენენ ტელეკომპანიები, რომლებიც კავშირგაბმულობის სფეროში ახალი ციფრული არხების და სასწაულების ზღურბლზე დგანან.

მაშ სირთულე რაღაა? მთავარი სირთულე უეფასთან გარიგება და შეთანხმებაა. სადღეისოდ ევროპულ ფეხბურთში ყველაფერი ამ ორგანიზაციის ხელშია და თითოეული სეზონის ბოლოს ფულის სათვლელ მანქანასაც ის აჩხარუნებს. გარდა ამისა, უეფას თავისი წესკანონი აქვს, რომლითაც მთელ მეურნეობას მართავს, ასე რომ, წლობით აწყობილი სისტემის ერთი ხელის დაკვრით დანგრევის ნებას ის არავის მისცემს. არსებობს ეროვნული ჩემპიონატები, რომელთა საუკეთესო გუნდები ევროთასებზე გადიან და ასე შემდეგ. საათივითაა ყველაფერი, ფულიც უშეცდომოდ ითვლება და ნაწილდება.

სუპერკლუბებმა სუპერლიგაზე ლაპარაკი აქტიურად რომ წამოიწყეს, მათ ინტონაციაში უეფასგან განდგომის სურვილი შეიმჩნეოდა. უეფას პასუხი იმთავითვე მკაფიო იყო და დაახლოებით ასეთი შინაარსი ჰქონდა: ეგრე არ არის, თაყაო, მაგრამ განა იუჰანსონმა და აიგნერმა (უეფას პრეზიდენტი და გენერალური მდივანი) პირველივე წუთიდან არ იცოდნენ, რომ ნაწილობრივ მართლაც ეგრეა თაყას რომ უნდა? ამიტომაც იშვა ჩემპიონთა ლიგა, რომლის ფორმატიც ყოველწლიურად ემსგავსება იმ სავარაუდო სუპერლიგას, თუმცა პრინციპული სადავო საკითხები ჯერ მაინც მრავლადაა.

უეფას პრესატაშის ფრიც ალსტრომის გუშინწინდელი განცხადებიდან: „ბევრმა კლუბმა, მათ რიცხვში „მანჩესტერ იუნაიტედმა“ სუპერლიგის შექმნასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში მონაწილეობა აღიარა, მაგრამ ამაში ჩვენთვის ახალი არაფერი იყო. ჩვენ ახალი შეჯიბრების პროექტზე ვმუშაობთ. ზუსტად ვიცით, რა და როგორ უნდა მოვაწყოთ. ვგონებთ, ახალი იდეა ყველას დააკმაყოფილებს, ხოლო განსხვავება უეფასა და სხვა ჯგუფების გეგმებს შორის ისაა, რომ უეფაში განუზომლად უფრო დემოკრატიულნი ვართ. ახლა ყველასთან, ყველა პოლიტიკოსთან მოლაპარაკება გვჭირდება, რაც დროს მოითხოვს, მაგრამ ალბათ აღმასრულებელი კომიტეტის 6 სექტემბრის სხდომაზე ლისაბონში, ბევრ საკითხს ნათელი მოეფინება. უეფასთვის მთავარი გულშემატკივარია. ცარიელ პროექტშიც ისეა, რომ სუპერლიგაში ბოლო ადგილზე გასული გუნდი ვარდება, მაგრამ არა ავტომატურად. ავტომატურად გავარდნისთვის ზედიზედ ორ ჩემპიონატში ფსკერზე უნდა ჩარჩე.

ინგლისურმა გაზეთმა „ინდიპენდენტმა“ კი საერთოდ გიჟური ვერსია გამოაქვეყნა. მისი ინფორმაციით, რომელიც თითქოსდა საიდუმლო დოკუმენტებზეა დაყრდნობილი, სუპერლიგაში თამაშის სურვილი გამოთქვა ოთხმოცმა (80) კლუბმა. ამიტომაც ლიგის მოსურნენი და ინიციატორები ჰოლანდიაში ხუთი კომპანიის დაფუძნებას აპირებენ, რომლებიც უნდა გაუძღვნენ 32 გუნდიან მთავარ პირველობას და კიდევ მეორე „პროთასად“ წოდებულ შეჯიბრებას, რომელსაც 40 ან 50 მონაწილე ეყოლება და ჩვეულებრივი, „წააგე — გავარდი“ სისტემით ჩატარდება.

მოკლედ დიდი ამბებია და თან ცეცხლზე ნავთსაცასხამენ. გუშინ, ერთ დღეში, „მანჩესტერ იუნაიტედმა“, „არსენალმა“, „აიაქსმა“, „რეალმა“ და სხვებმა გაავრცელეს ოფიციალური ცნობა, რომ სუპერლიგის შექმნას ემხრობიან.

„ორი აზრი არ არსებობს, „აიაქსი“ სუპერლიგას მხარს უჭერს. მიუხედავად იმისა, რომ ყველა აუცილებელი კონსულტაცია ჯერ არ გაუვლია“ — განაცხადეს ამსტერდამელებმა.

„მანჩესტერ იუნაიტედი“ ადასტურებს, რომ მონაწილეობს სუპერლიგის შექმნასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში, თუმცა ხაზს უსვამს, რომ რჩება ინგლისის პრემიერლიგისა და საშინაო შეჯიბრებების ერთგული და არც ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციების წინაამდეგ ილაშქრებს“ — ასეთია ცნობა მანჩესტერიდან.

„ჩვენ ვეძებთ გზებს, მსოფლიო ფეხბურთის თანამედროვეობასთან შესახამებლად. გასულ ორშაბათს, მიუნხენში, „რეალის“, „ბაიერნისა“ და მარსელის „ოლიმპიკის“ პრეზიდენტები, აგრეთვე „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი შევიკრიბეთ და ვიმსჯელეთ. მართალია, პროექტი ჯერ დამთავრებული არ გვაქვს, მაგრამ მსურველთათვის კარი ღიაა. ახლა ყველასათვის მისაღები ფორმულაა მოსაძებნი და შეჯიბრებაც გახურდება. დღევანდელ ჩემპიონთა ლიგაში კი ბევრი რამ არ მოგვწონს. მაგალითად, ახალი წესით ნახევარფინალი ერთმატჩიანი იქნება, ანუ ბილეთები ნაკლები გაიყიდება და ერთი თამაშის ტელეტრანსლაციასაც ვკარგავთ. სუპერლიგას ვერაფერი შეაჩერებს. მაქსიმუმ ორ ან სამ წელიწადში იგი ამოქმედდება და უეფას ამასთან შეგუება მართებს“ — ბრძანა მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტმა ლორენსო სანსმა.

„ჩვენი ინფორმაციით უეფამ ევროლიგისკენ კეთილი თვალით მოიხედა“ — გაიხარა დორტმუნდის „ბორუსიას“ გენერალურმა მენეჯერმა მიხაელ მაიერმა.

„უეფას გენერალურ მდივანს გერჰარდ აიგნერს სუპერლიგის შექმნის გეგმა უჯრაში მზად ჰქონია. ახლა თურმე ამ უჯრის გამოღებასღა ველოდებით. მე კი, მართალი გითხრათ, ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა ითანამშრომლონ ლიგის მოთავე ფინანსურმა ჯგუფმა და უეფამ. ჯგუფი, რომელიც ვახსენე, ორ შეჯიბრებას გაუძღვება და მასში რვა ან ცხრა გერმანულ გუნდს მიიღებს (ძალიან ჰგავს „ინდიპენდენტის“ ვერსიას), ყველას შემოსავალი გაორმაგდება ან იქნებ გასამმაგდეს კიდეც, ასე რომ, აქ მხოლოდ „ბაიერნზე“ კი არა, ნახევარ ბუნდესლიგაზეა ლაპარაკი“ — ძველებურად ალაპარაკდა მიუნხენის „ბაიერნის“ პრეზიდენტი ფრანც ბეკენბაუერი.

საფეხბურთო ევროპაში შესაძლოა დიდი არეულობაც დაიწყოს.

**ბაბუნა ძედია**

# ბირჰოფი ახალი კაპიტანია?

გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ბერტი ფოგტსი შვებულებიდან დაბრუნდა და კარსმომდგარი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის მზადებას იწყებს. ბუნდესნაკრების თავკაცმა განაცხადა, რომ სტუმრად მალტასთან (2 სექტემბერს) და რუმინეთთან (5 სექტემბერს) გასამართი ამხანაგური შეხვედრებისთვის უკვე შეიგულა 24 ფეხბურთელი, რომელთაგანაც იმ 18 კაცს აარჩევს, ვინც ოქტომბრის შუა რიცხვებში შესარჩევ მატჩებში თურქეთთან და მოლდოვასთან ქვეყნის ღირსებას დაიცავს. 24 კანდიდატში ფოგტსმა აწ უკვე მი-



სარბიელის არქივიდან

ოლივერ ბირჰოფს „ბებრის ყვავილობა“ დაეწყო

უნხენის „ბაიერნის“ ცენტრალური ნახევარმცველი, შტეფან ეფენბერგიც მოიხსენია, თან დაამატა, იმედი მაქვს, წარსულს დავივიწყებთ და ჩვენი ურთიერთობა წარმატებული იქნებაო. იმის თქმა ახლავე შეიძლება, რომ ეფენბერგი „ტაქალის“ სტადიონზე 2 სექტემბერს ნამდვილად ითამაშებს, რადგან გერმანელებს მისი ძალიან ეიმედებათ. მწვრთნელმა საზოგადოება მეტად გააკვირვა, როდესაც ნაკრების ახალწვეულებში მცველები — 26 წლის როსტოკელი მარკო რემერი და 22 წლის ფენერბაჰჩელი მუსტაფა დოგანი, ასევე 21 წლამდე ნაკრების წევრები კაიზერსლაუტერნელი მიხაელ ბალაკი და მარკო რაიხიც დაასახელა; ამ ბიჭებს აუცილებლად გამოვიყენებთ, თუმცა ძირითად შემადგენლობაში ადგილს ვერ დავპირდები, იგი თავიანთი გარჯით უნდა მოიპოვონო. ფოგტსი გუნდში ლარს რიკენისა და მეჰმეთ შოლის დაბრუნებასაც აპირებს, თუმცა მათ ჯერ ტრავმები უნდა მოიშუშონ.

ნაკრებიდან წამსვლელთა ვინაობა, ფაქტობრივად, ცნობილია. უკვე გადაწყვეტილია, რომ ეროვნული გუნდის მაისურს აღარ ჩაიცვამენ 33 წლის იურგენ კლინსმანი, რომელიც საფრანგეთში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე კაპიტანი იყო, 32 წლის იურგენ კოლერი და მისივე ტოლი ოლაფ ტონი. ნაკრებს გამოემშვიდობა 36 წლის მეკარე ანდრეას კიოპკეც, რომელმაც გულშემატკივრებს მსოფლიოს ჩემპიონატზე ცუდი თამაშით დაამახსოვრა თავი. მცველი ოლაფ ტონი მათგან კარის გაჯახუნებით წავიდა. კერძოდ, მან განაცხადა, მე და ფოგტსი ერთმანეთს ვერ ვეგუებით და სადაც იგი იქნება, იქ ვერ ვითამაშებო. ამას მწვრთნელის საპასუხო რეაქცია მოჰყვა: „ფეხბურთი სულ უფრო ვითარდება, ტონი კი თანამედროვე სტილს ვერ ერგება. ამიტომ მისი ნაკრებში მიწვევა მიზანშეუწონლად მიმაჩნია“. ტონისგან განსხვავებით, 37 წლის ლოთარ მათეუსის თამაშს ფოგტსმა ძალიან კარგი უწოდა. მწვრთნელმა ასევე თქვა, მართალია, გუნდს გადავახალისებ, მაგრამ ძირითადად მაინც ძველებს დავეყრდნობიო. „ანდრეას მიოლერზე, კრისტიან ვიორნსზე, თომას ჰელმერსა და ულფ კირსტენზე ხელაღებით უარის თქმა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, ამას არც ერთი ჭკუათმყოფელი არ იზამს“ — ესეც ბერტის სიტყვებია. შემდეგ მან ამ ფეხბურთელებსა და ნაკრებში მათი თამაშის შანსებზე ისაუბრა:

„მიოლერისგან მეტს მოველოდი, მაგრამ იმედები გამიცრუა, თუმცა მჯერა, ჩვეულ ფორმას მალე დაიბრუნებს. ვიორნსიც, დარწმუნებული ვარ, გამიმართლებს. თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, მალტაში წავიყვან. რაც შეეხება თომას ჰელმერს, ყველაფერი მის ჯანმრთელობაზეა დამოკიდებული. ულფ კირსტენს კი მართალია, თავი არაფრით გამოუჩენია, მაგრამ მისი ბუნდესლიგის ბომბარდირობაც ბევრზე მეტყველებს“.

ბოლოს ფოგტსი ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხსაც შეეხო. კერძოდ, როცა ჰკითხეს, ვინ იქნება ნაკრების ახალი კაპიტანიო, უპასუხა, ჯერ ზუსტად არ ვიცი, მაგრამ კლინსმანს, ალბათ, მილანელი 31 წლის ოლივერ ბირჰოფი შეცვლისო.

ასე რომ, გერმანიის ნაკრებში ცვლილებები არცთუ საფუძვლიანია, სპეციალისტების ვარაუდი, გერმანია შემადგენლობის მხრივ ძირეულად გარდაიქმნებაო, არ გამართლდა.

**მანო ოქროპირიძე**

## გერმანია

### მეორე ბუნდესლიგა

**ჰანოვერი 1:0 კარლსრუე**
1:0 კობილანსკი (80)

**ზანქტ პაული 1:0 ბერლინი**
1:0 მასონი (68)

**ფორტუნა 2:1 დიუსელდორფი**
1:0 დრაგონერი (25), 2:0 კიროვსკი (28პ), 2:1 ლესნიაკი (59)

**კოტბუსი 2:0 კიკერსი**
1:0 ვავრჟინეკი (30), 2:0 ციომელი (90)

**ობერჰაუზენი 0:0 უერდინგენი**

**მაინცი 3:0 ფიურტი**
1:0 ჰაიერი (26), 2:0 კლოპი (67), 3:0 პოლიკელა (79)

**გიუტერსლო 0:1 კიოლნი**
0:1 ჰუტველკერი (76)

**ულმი 2:0 ვატენშაიდი**
1:0 უნზიოლდი (49), 2:0 ზდრილიჩი (74)

**უნტერჰახინგი 0:2 არმინია**
0:1 პეტერსი (64), 0:2) რეინა (90)

## ავსტრია

მე-3 ტური. შტაირი — რაპიდი 1:2, აუსტრია — რიდი 1:0, ლინცერი — გრაცერი 0:1, შტურმი — ლუსტენაუ 3:0, ზალცბურგი — ტიროლი გადაიდო ზალცბურგის ინტერტოტოს თასზე მონაწილეობის გამო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შტურმი | 3 | 3 | 0 | 0 | 6:0 | 9 |
| გრაცერი | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 7 |
| ლინცერი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:2 | 6 |
| აუსტრია | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| ტიროლი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| რაპიდი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ლუსტენაუ | 3 | 0 | 1 | 2 | 2:8 | 1 |
| ზალცბურგი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |
| რიდი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:3 | 0 |
| შტაირი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:7 | -3 |

*შტაირმა ფინანსური დარღვევების გამო ჩემპიონატი დაიწყო -3 ქულით.*

## შვეიცარია

V ტური

**გრასჰოპერი 2:0 არაუ**

1:0 თურქილმაზი (55), 20 ფოგელი (79პ)

გრასჰოპერი: ცუბერბიულერი, ჰაასი (მაცარელი 46), გრენი, სმილიანიჩი, კრისტი, ტიკვა (მანინი 82), კაბანასი, ესპოზიტო, ფოგელი, ნკუფო (ყაველაშვილი 70), თურქილმაზი

შვეიცარიის ჩემპიონატის მეხუთე ტური ამ უქმეებზე კი არის დაგეგმილი, მაგრამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის მამებმა „გრასჰოპერის“ ხელმძღვანელთა თხოვნა დააკმაყოფილეს და „არაუსთან“ შაბათს გასამართი შეხვედრა 5 აგვისტოს გადმოუტანეს. მიზეზი ისაა, რომ მომავალ ოთხშაბათს „კალიებს“ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩი ელით თურქეთში „გალათასარაისთან“ და მოსამზადებელად დრო არ ჰყოფნით.

„არაუსთან“ შვეიცარიის შარშანდელ ჩემპიონებს კვლავ დაუბრუნდათ თურქილმაზი, რომელიც საუკეთესო იყო მოედანზე.

თამაში მასპინძელთა აშკარა უპირატესობით დაიწყო. „გრასჰოპერმა“ სტუმრებს დასაწყისშივე მოუწყო პატარა შტურმი. თუმცა თურქილმაზმა და ტიკვამ ხელსაყრელი მომენტები ვერ გამოიყენეს. პირველ ტაიმში ციურიხელებს რამდენჯერმე შეეძლოთ გოლის გატანა, მაგრამ ამაოდ დაშვრნენ.

მეორე ტაიმიც „გრასჰოპერის“ კარნახით წარიმართა. 55-ე წუთზე ტიკვამ საჯარიმოს გარედან ძლიერად დაარტყა, „არაუს“ მეკარე ბენიტომ ბურთი კი მოიგერია, მაგრამ თურქილმაზს წინ დაუგორა, რომელსაც ანგარიშის გასახსნელად დიდი ჯაფა არ დადგომია. 4 წუთში „არაუ“ კაცნაკლული დარჩა, თურქილმაზთან უხეში თამაშისთვის მსაჯმა სტუმარ მცველ პრევიტალს ყვითელი ბარათი გაუწითლა და მოედნიდან გააძევა. ამის შემდეგ „გრასჰოპერის“ უპირატესობა უფრო თვალსაჩინო გახდა, 64-ე წუთზე სტუმრებმა კარის ხაზიდან მოიგერიეს იმავე თურქილმაზის დარტყმული ბურთი.

მატჩის დასასრულამდე ათიოდე წუთით ადრე არაუელმა ზიტოლამ მეორე ნახევარში შეცვლაზე შესული მაცარელი საჯარიმოში წააქცია, პენალტი ფოგელმა ზუსტად შეასრულა და თავისიანები 2:0 დააწინაურა. საინტერესო ბოლო ათ წუთში აღარაფერი მომხდარა.

რაც შეეხებათ ჩვენებურებს, ყაველაშვილი თამაშში 70-ე წუთზე ჩაერთო და საკმაოდ აქტიურადაც. ნემსაძე კი, კომიზეტის მსგავსად, კვლავ დაშავებულია და არ უასპარეზია. ასევე ტრავმირებულია „კალიების“ ახალშეძენილი ფორვადი პატრიკ დე ნაპოლი. ამ გამარჯვებით „გრასჰოპერმა“ დროებით მაინც მესამე ადგილზე აინაცვლა და გუნებაგამოკეთებული ესტუმრება სტამბოლს, სადაც 12 აგვისტოს მოუთვინიერებელ „ლომებს“ სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეერკინება.

**მანო ოქროპირიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერვეტი | 4 | 4 | 0 | 0 | 10:5 | 12 |
| სენტ გალენი | 4 | 3 | 1 | 0 | 13:5 | 10 |
| გრასჰოპერი | 5 | 3 | 1 | 1 | 9:7 | 10 |
| ლოზანა | 4 | 2 | 2 | 0 | 7:5 | 8 |
| ქსამაქსი | 4 | 1 | 3 | 0 | 3:2 | 6 |
| ლუცერნი | 4 | 1 | 2 | 1 | 7:7 | 5 |
| იანგ ბოისი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |
| არაუ | 5 | 1 | 1 | 3 | 9:11 | 4 |
| ბაზელი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:9 | 4 |
| სიონი | 4 | 0 | 2 | 2 | 1:4 | 2 |
| ლუგანო | 4 | 0 | 1 | 3 | 5:8 | 1 |
| ციურიხი | 4 | 0 | 1 | 3 | 4:7 | 1 |

## ინტერტოტოს თასის ნახევარფინალი

5 აგვისტო. საპასუხო მატჩები

INTERTOTO CUP

დებრეცენი (უნგრეთი) — რუხი (პოლონეთი) 0:3 (0:1)
0:1, 0:2 ბიზაკი (24, 26), 0:3 სრუტვა (51)
ვალენსია (ესპანეთი) — ესპანიოლი (ესპანეთი) 2:0 (1:0)
1:0, 2:0 ლოპესი (39, 78)
სამპდორია (იტლია) — ბოლონია (იტალია) 1:0 (1:3)
1:0 პალმიერი (27)
სამსუნსფორი (თურქეთი) — ვერდერი (გერმანია) 0:3 (0:3)
0:1 კუნცი (44), 0:2 ვიკი (77), 0:3 ფრინგსი (79)
ზალცბურგი (ავსტრია) — სიტარდი (ჰოლანდია) 3:1 (1:2)
1:0 კოეი (15), 1:1 ბურკე (53), 2:1 საბიცერი (63), 3:1 გლიდერი (76)
ვოივოდინა (იუგოსლავია) — ბასტია (საფრანგეთი) 4:0 (0:2)

**ფინალში ითამაშებენ:**

ბოლონია (იტალია) — რუხი (პოლონეთი)
ვერდერი (გერმანია) — ვოევოდინა (იუგოსლავია)
ზალცბურგი (ავსტრია) — ვალენსია (ესპანეთი)

*მატჩები 11 და 25 აგვისტოს გაიმართება*

საუბრები სპორტის ფსიქოლოგიაზე

# გახსოვდეს ფსიქოლოგია!

სპორტულ სამყაროსთან მრავალი ათეული წლის ურთიერთობა მაკავშირებს. ფსიქოლოგიაში სპორტიდან მოვედი (ტანვარჯიშე გახლდით), ამჟამადაც სპორტს ვემსახურები, მალე 45 წელი გახდება, რაც ფსიქოლოგიას ვასწავლი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში. ბუნებრივია, საქმიანობით უმეტესად სპორტის მუშაკებთან ვარ დაკავშირებული. ამ ურთიერთობებმა დამარწმუნა, რომ სპორტის სპეციალისტთა უმეტესობა ცუდად იცნობს საერთოდ ფსიქოლოგიას და კერძოდ, სპორტის ფსიქოლოგიას. სპეციალისტთა ერთი ჯგუფი საერთოდ უარყოფს სპორტისთვის ფსიქოლოგიის მნიშვნელობას, ერთმა ნაცნობმა სპეციალისტმა ისიც განმიცხადა, როდესაც ფიზკულტურის ინსტიტუტი დავამთავრე, რაიონში გამამწესეს ფიზკულტურის მასწავლებლად, ერთ-ერთ მოწინავე სპეციალისტად ვითვლებოდი, თუმცა ფსიქოლოგია არ ვიცოდი. სხვები უფრო კატეგორიულები არიან: „რაღ უნდა ჭიდაობას მეცნიერება-ფსიქოლოგია, აგერაა ლეიბი, აგერაა მეტოქე, გააკარი ხალიჩას ორივე ბეჭით და მორჩება საქმე“; ანდა: „გაუტანე მეტოქეს მეტი ბურთი, ვიდრე შენს კარში მიიღებ, ამას რა ფსიქოლოგია სჭირდება“. ზოგი იმასაც კი ამბობს, სპორტში რომ მეცნიერება-ფსიქოლოგია შეიჭრა, მაშინ წახდა სპორტის საქმეო.



სპორტმა ტკივილიც იცის

არსებობენ ისეთი მუშაკებიც, რომლებიც აზვიადებენ სპორტისთვის ფსიქოლოგიის მნიშვნელობას, მეტიც, ისინი ფსიქოლოგიას განიხილავენ, როგორც პანაცეას, ფიქრობენ, საკმარისია კარგი ფსიქოლოგიური მომზადება და შეჯიბრებაში წარმატება გარანტირებულიაო. რა თქმა უნდა, ორივე შეხედულება შორსაა ჭეშმარიტებისგან, რისი მიზეზიც, ჩვენი აზრით, მათი პროფესიონალიზმის დაბალი დონეა. მაინც რა განაპირობებს სპორტში, ვთქვათ, მწვრთნელთა და ფიზკულტურის მასწავლებელთა პროფესიონალიზმს, რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს ნაღდი პროფესიონალი? თქმა არ უნდა, პროფესიონალი პირველ რიგში უნდა ფლობდეს პროფესიას, სპორტულ სპეციალობების ღრმა ცოდნას, ესაა უპირველესი და აუცილებელი პირობა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში იგი საკმარისი არაა. პრაქტიკიდან მრავალი შემთხვევაა ცნობილი, როდესაც გამოჩენილი, ტიტულოვანი სპორტსმენი, რომელიც თავს ანებებს აქტიურ სპორტს და მწვრთნელად იწყებს მუშაობას, იმის ნახევარ წარმატებასაც ვერ აღწევს, რასაც აქტიური სპორტსმენობის პერიოდში აღწევდა. მიზეზი, ჩვენი აზრით, მწირი ცოდნაა იმის შესახებ, როგორ, რა გზებით, რა საშუალებებით მიიტანონ თავიანთი პროფესია აღსაზრდელებთან. მწვრთნელი თუ ფიზკულტურის მასწავლებელი ხომ პედაგოგია, რომელმაც შესანიშნავად უნდა იცოდეს, როგორ ასწავლოს და როგორ აღზარდოს, ასე რომ, წარმოუდგენელია პროფესიონალი პედაგოგიური განათლების გარეშე. ცნობილია, რომ პედაგოგიკა ვერ გადაწყვეტს სწავლისა და აღზრდის ამოცანებს ფსიქოლოგიური მეცნიერების გარეშე. სპორტში აღზრდის პრობლემა (შეიძლება ითქვას, საერთოდ განათლების სისტემაშიც) ჩრდილშია მოქცეული, ჩვენი აზრით, არ არსებობს მეცნიერულ დონეზე ჩამოყალიბებული აღზრდის კონცეფცია, რაც ფსიქოლოგიის არასაკმაო ცოდნა ან სულაც უცოდინარობაა (რა თქმა უნდა, არსებობენ ჭეშმარიტად პროფესიონალი პედაგოგები). ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნამდვილ პროფესიონალიზმს განაპირობებს სპეციალობის, პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნა. ჩვენს მიერ ზემოთ მოხმობილი მაგალითი — ახალბედა მწვრთნელი (ცნობილი სპორტსმენი) ვერ აღწევს წარმატებებს, რადგან არ იცის პედაგოგიკა და ფსიქოლოგია (რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია პიროვნული ფაქტორიც: არსებობენ პედაგოგიური ნიჭით დაჯილდოებული პიროვნებები, რომლებიც რამდენადმე თავს ართმევენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას), მაპროფილებელი მეცნიერებების ცოდნა კი სრულყოფილს გახდიდა მის პროფესიონალიზმს. პროფესიონალიზმი მით უფრო მაღალი ხარისხისაა, რაც უფრო ფართოა ერუდიცია და განათლება, განსაკუთრებით სპორტის შემსწავლელ მეცნიერებებში (ანატომია, ფიზიოლოგია, ისტორია, ბიომექანიკა და სხვა მრავალი).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გაუმართლებლად მიგვაჩნია პიროვნების მწვრთნელად დანიშვნა მხოლოდ წარსულში დიდი სპორტული მიღწევების გათვალისწინებით, რადგან შესაძლებელია ასეთმა მუშაკმა მიიღოს არაადექვატური გადაწყვეტილებები, რაც სპორტს — საქმეს ზიანის მეტს არაფერს მოუტანს.

მაგონდება გამოჩენილი საფეხბურთო მწვრთნელი, ნოდარ ახალკაცი, მართალია, იგი არ იყო სუპერვარსკვლავი ფეხბურთში, მაგრამ იყო უაღრესად ნიჭიერი, ერუდირებული, განათლებული, დიდი შემეცნებითი ინტერესების მქონე, პრინციპული, ორგანიზატორის ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება, რომელსაც დამთავრებული ჰქონდა პოლიტექნიკური ინსტიტუტი, მაგრამ ფეხბურთისადმი დიდმა სიყვარულმა გადააწყვეტინა ქართული ფეხბურთის სამსახურში დარჩენილიყო. მან წარჩინებით დაამთავრა ამჟამად ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია, რამაც განაპირობა მისი, როგორც მაღალპროფესიონალი მწვრთნელის, ჩამოყალიბება. ნოდარმა შესანიშნავად იცოდა, რომ მწვრთნელობა და ფიზკულტურის მასწავლებლობა პროფესიაა, რომელსაც ისეთივე სწავლა სჭირდება, როგორც იურისტობას, ეკონომისტობას, ექიმობას და ა.შ. პროფესიას უნდა დაეუფლო შესაბამის სასწავლებელში ანდა უარეს შემთხვევაში — დამოუკიდებლად. კარგი იქნება, თუ ნოდარ ახალკაცის მაგალითს გაითვალისწინებს ახალბედა მწვრთნელთა ის ნაწილი, რომელთა პროფესიონალიზმი შემდგომ სრულყოფას საჭიროებს.

ზემოთ შევეხეთ სპორტისთვის ფსიქოლოგიის მნიშვნელობის განსხვავებულ შეხედულებებს (შეუფასებლობა-გადაფასება). მაინც რამ განაპირობა სპორტისთვის ფსიქოლოგიის განსაკუთრებული მნიშვნელობა? რამ განაპირობა სპორტში შეჯიბრებისთვის მზადების ცნობილ სახეებს მიმატებოდა მზადების ახალი სახე — ფსიქოლოგიური მომზადება?

ცნობილია, სპორტში (რომელიც შედგება ჩვევის შემუშავების პროცესისგან, წვრთნისგან და შეჯიბრებისგან), განსაკუთრებით შეჯიბრებისას, უამრავი ფაქტორია ჩართული, რომელთაგან ზოგი ხელს უწყობს, ზოგიც ხელს უშლის სპორტსმენის შესაძლებლობის მაქსიმალურ გამოვლენას, შესაბამისად, შეჯიბრებებში წარმატება-წარუმატებლობას.

აღნიშნული ფაქტორებიდან ზოგი ობიექტური, ზოგიც სუბიექტური ხასიათისაა. ამ ფაქტორებისთვის ანგარიშგაუწევლობა არცთუ იშვიათად იწვევს შეჯიბრებაში წარუმატებლობას. წარმატებას კი ის სპორტსმენი აღწევს, რომელსაც შეუძლია წინ აღუდგეს, შეიკავოს, დათრგუნოს უარყოფითი ფაქტორების ზემოქმედება და ამავე დროს მაქსიმალურად გამოიყენოს ის ფაქტორები, რომლებიც წარმატებას უწყობენ ხელს. დღეისთვის მრავალი ფაქტორია ცნობილი, მრავალი კი გამოსავლენი და დასადგენია.

ობიექტური ფაქტორებიდან პირველ რიგში მიუთითებენ კლიმატურ-მეტეოროლოგიურ ფაქტორებს: ქარი, წვიმა, სიცხე, სიცივე, თოვლი, სიმაღლე ზღვის დონიდან, მაყურებლის რეაქცია (დადებითი ან უარყოფითი), განათების ხარისხი, ჰაერის ვენტილაცია, სპორტული ინვენტარის ხარისხი (უმჯობესი-უარესი), წვრთნის მეთოდის შეცვლა და სხვა მრავალი.

სუბიექტური ფაქტორებიდან მნიშვნელოვანია: შიში შესაძლო მარცხის გამო, შიში რომელიც დაკავშირებულია სიცოცხლისთვის საშიში მოქმედებების შესრულებასთან ან პრესტიჟის შელახვასთან. მაგალითად: ხტომები სპორტულ ტანვარჯიშში, განსაკუთრებით ჩამოხტომები, ნოკდაუნი, ნოკაუტი, მტკივნეული ილეთები; მნიშვნელოვანია საკუთარ შესაძლებლობებში დაურწმუნებლობა ან პირიქით — ჭარბი თავდაჯერება (ორივე უარყოფითი ფაქტორია), ფსიქიკური ტრავმები, უხერხული მეტოქის ფაქტორი, გუნება-განწყობილება (ცუდი, კარგი), ინტერესი (დაკარგვა), ყოყმანი გადაწყვეტილების მიღებისას, თავშეკავება-თავშეუკავებლობა, ყურადღების გადანაცვლებადობა, ყურადღების განაწილება (ადვილად ან ძნელად განაწილება), სტრესები (ძლიერი, სუსტი), აფექტები, პანიკა და სხვა მრავალი. სწორედ ფსიქოლოგიური ბარიერების არსებობამ განაპირობა შეჯიბრებისთვის მზადების ახალი სახის — ფსიქოლოგიური მომზადების დამკვიდრება.

დღეისთვის სპორტის ფსიქოლოგიაში ფსიქოლოგიური მომზადება ერთ-ერთი კარდინალური მნიშვნელობის საკითხია, რომლის შესახებაც ჯერაც არ არსებობს ერთი, ყველასთვის მისაღები დეფინიცია. მაინც რა იგულისხმება ფსიქოლოგიურ მომზადებაში? როდის შეიძლება სპორტსმენი ან გუნდი ჩაითვალოს ფსიქოლოგიურად მომზადებულად?

თუ სპორტსმენი ან გუნდი ნებისმიერ დროს და ნებისმიერ პირობებში ახერხებს საკუთარი სპორტული შესაძლებლობების (ფიზიკური, ტექნიკური, ტაქტიკური და ა.შ. მომზადება) მთლიან-პიროვნული ძალების მობილიზებას და შეჯიბრების ექსტრემალურ პირობებში მის მაქსიმალურ რეალიზებას, მაშინ ასეთი სპორტსმენი თუ გუნდი ითვლება ფსიქოლოგიურად მომზადებულად.

ერთი სიტყვით, ფსიქოლოგიური მომზადება ესაა ექსტრემალურ სიტუაციებში სპორტსმენის მთლიან-პიროვნული ძალების მაქსიმალური მობილიზებისა და მეტოქესთან პაექრობის პირობებში რეალიზების პროცესი, როდესაც სპორტსმენს შესწევს ძალა, ნებისმიერად არეგულიროს საკუთარი ქცევა. როგორც ზემოთ ნათქვამიდან ჩანს, ფსიქოლოგიური მომზადება განაპირობებს სპორტსმენის თუ გუნდის სპორტული შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენას. რამდენადაც ადამიანები, როგორც პიროვნებები, განსხვავდებიან ერთმანეთისგან, ცხადია, ისინი განსხვავდებიან სპორტული შესაძლებლობებითაც. ზოგი ამ შესაძლებლობებით მაღლა დგას, ზოგიც — დაბლა. აღნიშნულის გამო თანაბარი ფსიქოლოგიური მომზადების შემთხვევაში შეჯიბრებაში იმარჯვებს ის, ვისი სპორტული შესაძლებლობებიც მეტია მეტოქისაზე.

ჩვენ მკითხველთან კიდევ ვფიქრობთ შეხვედრას, ვისაუბრებთ შეჯიბრებისთვის მზადების პროცესში (ჩვევის შემუშავებისა და წვრთნის პროცესში) ინდივიდუალური მიდგომების ფსიქოლოგიური თავისებურებების, თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდთან ქართველ ფსიქოლოგთა მუშაობისა და სხვა თემა-პრობლემების შესახებ.


**გივი დგალი**

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის კათედრის გამგე, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი


# სარბიელი

## სპორტული ლატარია “CROCO”

**რუსეთის ჩემპიონატი. XX ტური**

7 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| როტორი — ლოკომოტივი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ტორპედო — დინამო | 2,4 | 3,0 | 2,5 |
| 8 აგვისტო | | | |
| როსტსელმაში — ჩერნომორეცი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| შინიკი — ზენიტი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ცსკა — ჟემჩუჟინა | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| სპარტაკი — ალანია | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ტიუმენი — ურალანი | 6,5 | 3,6 | 1,4 |
| ბალტიკა — კრილია | 1,9 | 2,9 | 3,6 |

**შვეიცარიის ჩემპიონატი. V ტური**

7 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ქსამაქსი — სერვეტი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| სენტ გალენი — ციურიხი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 8 აგვისტო | | | |
| იანგ ბოისი — ლუგანო | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ლოზანა — სიონი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 9 აგვისტო | | | |
| ბაზელი — ლუცერნი | 1,8 | 3,0 | 4,0 |

**პოლონეთის ჩემპიონატი. III ტური**

8 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ამიცა — ვიძევი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| კატოვიცე — რაძიონკოვი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| ლეგია — ლეხი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ბელხატოვი — სტომილი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| ვისლა — ზაგლებე | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| რუხი — პოლონია | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ლკს — ოდრა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| გურნიკი — პოგონი | 1,3 | 4,0 | 7,5 |

**ავსტრიის ჩემპიონატი. IV ტური**

8 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| გრაცერი — ტიროლი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ლუსტენაუ — აუსტრია | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| რაპიდი — ლინცერი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| რიდი — შტაირი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| ზალცბურგი — შტურმი | 2,3 | 2,9 | 2,8 |

**თურქეთის ჩემპიონატი. I ტური**

7 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ბეშიქთაში — ანკარაგიუჯიუ | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| ტრაბზონი — გაზიანთეფი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| გალათასარაი — ალთაი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| საქარია — ანთალია | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ქარაბუქი — ბურსა | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| სამსუნი — ისთანბული | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ადანა — ქოჯაელი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| გენჩლერბირლიგი — ერზურუმი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| დარდანელი — ფენერბაჰჩე | 7,5 | 4,0 | 1,3 |

**საფრანგეთის ჩემპიონატი. I ტური**

7 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ლე ავრი — მეცი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ლორანი — მონაკო | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 8 აგვისტო | | | |
| რენი — ოსერი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| მარსელი — ნანტი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ბასტია — მონპელიე | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ბორდო — პსჟ | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| სტრასბური — ლიონი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ტულუზი — ლანსი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ნანსი — სოშო | 1,8 | 2,9 | 4,2 |

**ინგლისის სუპერთასი**

9 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| არსენალი — მანჩესტერი | 2,6 | 2,9 | 2,4 |

**ინგლისის. I დივიზიონი. I ტური**

8 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარნსლი — ვესტ ბრომვიჩი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| ბრედფორდი — სტოკპორტი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ბრისტოლი — ოქსფორდი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ბერი — ჰადერსფილდი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| კრისტალ პალასი — ბოლტონი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| ნორვიჩი — ქრიუ | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| პორტ ვეილი — ბირმინგემი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| პორტსმუთი — უოტფორდი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| შეფილდი — სვინდონი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| სანდერლენდი — ქუინზ პარკი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ვულვერჰემპტონი — ტრანმერი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 9 აგვისტო | | | |
| გრიმსბი — იფსვიჩი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

**გერმანია. II ბუნდესლიგა. II ტური**

7 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| კიოლნი — უნტერჰახინგი | 1,35 | 3,6 | 7,5 |
| კიკერსი — ობერჰაუზენი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ურდინგენი — ფორტუნა | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 9 აგვისტო | | | |
| კარლსრუე — ულმი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| ბერლინი — კოტბუსი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| დიუსელდორფი — გიუტერსლო | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| ვატენშაიდი — მაინცი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ფიურტი — ზანქტ პაული | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 10 აგვისტო | | | |
| არმინია — ჰანოვერი | 1,5 | 3,3 | 6,0 |

**გერმანია. ლიგის თასის ფინალი (ლევერკუზენში)**

8 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ბაიერნი — შტუტგარტი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

**კალათბურთი. 1/4 ფინალი**

7 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| იუგოსლავია — არგენტინა | 1,01 | 9,0 | 12,0 |
| რუსეთი — ლიტვა | 1,7 | 9,0 | 1,9 |
| ესპანეთი — საბერძნეთი | 1,7 | 9,0 | 1,7 |
| აშშ — იტალია | 1,02 | 9,0 | 9,0 |

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

# მიზანი ერთია: ოთხეული!

## მსოფლიოს ჩემპიონატი

საბერძნეთში მიმდინარე კალათბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე გუნდებმა პირველი ორი ეტაპის გავლის შემდეგ ორიოდ დღით შეისვენეს. ჭეშმარიტ გულშემატკივრებს კი დასასვენებლად ნამდვილად არ სცალიათ. ისინი თვალსასეირო მეოთხედფინალური ბრძოლების ხილვის მოლოდინში ხელებს სიამოვნებით იფშვნეტენ და ერთადერთი კითხვა უტრიალებთ თავში — ვინ გახდება მსოფლიოს მე-13 ჩემპიონი?

ამ კითხვას პასუხი კვირა საღამოს გაეცემა. მანამდე კი იმ ნაკრებების ვინაობა უნდა გაირკვეს, ვისაც ნახევარფინალებში და შემდეგ ფინალში ასპარეზობის პატივი ერგება.

დღეს, თავადაპირველად, მეოთხედფინალური შეხვედრების დაწყებამდე, ერთმანეთის პირისპირ მე-9-მე-11 ადგილებისთვის მოპაექრენი წარდგებიან. აი, თბილისის დროით 16.15 საათიდან კი მოედანი ოთხ საუკეთესო წყვილს დაეთმობა, რომლებიც პირველ ოთხეულს გამოავლენენ.

ბოლოს, სანამ მეოთხედფინალურ წყვილებს გაგაცნობდეთ, ერთსაც დავძენთ. როგორც მოგეხსენებათ, აქამდე ბერძნების მონაწილეობით გამართული მატჩების გარდა შეხვედრებს მაყურებელი მაინცდამაინც არ წყალობდა. დღეიდან ყველა ორთაბრძოლა ათენის ოლიმპიურ დარბაზში ჩატარდება და იმედია, ბერძენი გულშემატკივრები ახლა მაინც არ დაიზარებენ, პირთამდე აავსებენ მართლაც საუცხოო სარბიელს და ჩვეული ომახიანი ქომაგობით კიდევ უფრო შემატებენ ეშხს 7 აგვისტოს საღამოს.

### იუგოსლავია — არგენტინა

16.15 ოლიმპიური დარბაზი

იუგოსლავიის ნაკრები ამ ჩემპიონატზე რამდენიმე წამყვანი კალათბურთელის გარეშე ჩავიდა, მაგრამ, ამის მიუხედავად, მეტად დამაჯერებლად ასპარეზობს და სამართლიანად ითვლება ტურნირის უპირველეს ფავორიტად.

ვლადე დივაცი, პრედრაგ დანილოვიჩი და სხვა ძლიერი მოთამაშეები სხვადასხვა მიზეზების გამო დღეს ეროვნული გუნდის ღირსებას ვერ იცავენ. თქმა არ უნდა, ასეთი ხალხის არყოფნა ნებისმიერ ნაკრებს დიდ პრობლემას შეუქმნიდა, მაგრამ იუგები ხომ უკვე დიდი ხანია, საკალათბურთო სამყაროში ელიტის წარმომადგენლად არიან შერაცხულნი და მათთვის თავის გასამართლებელი საბუთი არ არსებობს.

ამიტომაც იყო, ზელკო ობრადოვიჩის შეგირდები მეტად თავდაჯერებულნი რომ ჩავიდნენ ათენში და ყველა მეტოქეს შავი დღე აჟარეს. მაშინ, როცა აშშ, ლიტვა და სხვა ფავორიტები მატჩებს ოდენ ოთხი-ხუთი ქულის სხვაობით იგებდნენ, ბალკანელები საოცრად ლაღად ირჯებოდნენ და ყოველ შემხვედრს ოცდაათი-ორმოცი ქულით ამარცხებდნენ.

აქამდე მხოლოდ ორ თამაშს თუ გავიხსენებთ, რომლებშიც იუგებს სერიოზული პრობლემები შეექმნათ. ჯერ იყო და B ჯგუფში ასპარეზობისას მათ რუსების მედგარი წინააღმდეგობის დაძლევა მხოლოდ დამატებით დროში მოახერხეს, ხოლო მეორე ეტაპზე იტალიელებთან კიდევ უფრო მეტად გაუჭირდათ და ბოლო წუთებზე დასანანი მარცხი იწვნიეს 60:61.

მოკლედ, დღეს არგენტინელ სკონოჩინისა და კომპანიას დიდი გამოცდა ელით. თუ მათ ნახევარფინალში გასვლა სურთ, საკუთარ თავს უნდა აჯობონ, რაც არცთუ ადვილი საქმეა. თუმცა არის ერთი ფაქტორი, რამაც შეიძლება არგენტინელებს დამატებითი სტიმული მისცეს. სამხრეთამერიკელებმა ხომ რვაეულში მოხვედრით უკვე შეასრულეს ჩემპიონატის წინ დასახული გეგმა, რის გამოც მათგან მეტს არც არავინ მოელის. იუგებისთვის კი მარცხი ტრაგედიის ტოლფასი იქნება.

### საბერძნეთი — ესპანეთი

18.30 ოლიმპიური დარბაზი

ბერძნებთან გადამწყვეტ მატჩში მათსავე მოედანზე თამაში რა საშინელებაცაა, ყველაზე კარგად ლიტვის ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანაშემწე შარუნას მარჩულიონისს მოეხსენება. 1987 წელს ათენში გამართულ ევროპის პირველობაზე ყოფილი საბჭოეთის გუნდმა, რომლის შემადგენლობაში ბრწყინვალე ლიტველიც გამოდიოდა, მთლიანად იგემა გადარეული ბერძენი გულშემატკირების აუტანელი ღრიანცელითა და დარბაზში შექმნილი არანორმალური ატმოსფეროთი გამოწვეული ფსიქოლოგიური დარტყმა.

ასე რომ, იმაზე საუბარი, ბერძნები წლევანდელ ჩემპიონატზე არცთუ დამაჯერებლად გამოიყურებიან და E ჯგუფში ორი პრინციპული შეხვედრაც წააგესო, ახლა, მეოთხედფინალური მატჩის წინ, საკმაოდ არარეალურია.

უნდა აღინიშნოს, რომ წინა ჩემპიონატებისგან განსხვავებით, წლეულს ბერძნებს ერთი, გამორჩეული ლიდერი არ ჰყავთ. მართალია, მათ რიგებში ბევრი ფასულასი თამაშობს, მაგრამ ეს მხოლოდ იმ ჯეელის აჩრდილია, რომელმაც 1987-ში გომლსკის ბიჭებს კუდით ქვა ასროლინა. ისე ძირითადად მატჩებში ყველაზე მეტი ქულის დაგროვებას ალვერტსი ახერხებს. მას არც ეკონომუ და ახალბედა პაპანიკულაუ ჩამორჩებიან.

მოკლედ, მასპინძლები საკმაოდ ანგარიშგასაწევნი არიან და ოქროს მედლების მაძიებელთა სიიდან მათი ამოშლა ჯერჯერობით ნაადრევია.

ბერძენთა სიძლიერეზე იმდენს ვსაუბრობთ, მავანმა მკითხველმა იქნებ იფიქროს, ესპანელებს ნახევარფინალში მოხვედრის არანაირი შანსი არ აქვთო. არა, ამის თქმა ნამდვილად არ შეიძლება, რადგან ესპანელები ტურნირზე ყველაზე უფრო შეთამაშებულ და ორგანიზებულ გუნდად მოგვევლინენ. მოთამაშეები თანმიმდევრულად, ეტაპობრივად შედიოდნენ ფორმაში და თუ პირველ წრეში შეხვედრები დიდი გაჭირვებით მოიგეს, მეორე ეტაპზე ნაკრებს ვერ იცნობდით.

ესპანელთაგან ყველაზე კარგ შთაბეჭდილებას მცველი ერეროსი ტოვებს, რომელსაც მომაკვდინებელი სამქულიანების გარდა კარგი პასების ჩამორიგებაც ეხერხება. ანგარიშგასაწევი ძალაა რეიესიც. განსაკუთრებით კი ტანმაღალი ცენტრალური თავდამსხმელი დუაიხსი უნდა აღინიშნოს, რადგან მას თუ თამაში წაუვიდა, ძნელი სავარაუდოა, ბერძნებმა რამე მოუხერხონ.

დაბოლოს, გაცნობებთ, რომ ამ მატჩის გამარჯვებული ნახევარფინალში იუგოსლავია — არგენტინის წყვილში მოგებულს შეხვდება.

### რუსეთი — ლიტვა

20.45 ოლიმპიური დარბაზი

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს შეხვედრა მეოთხედფინალურ წყვილებს შორის ყველაზე დიდ ინტერესს იწვევს. ყოფილ „ძმეთა“ დაპირისპირებას სულმოუთქმელად ელის მრავალიცხოვანი გულშემატკივარი, რომლებსაც უშლავათო, დაუვიწყარი ბრძოლის ხილვის იმედი აქვთ.

რუსები ამ მეოთხედფინალისთვის საგანგებოდ ემზადებიან. მათ ხომ ბოლო წლების განმავლობაში რამდენიმე სერიოზული მარცხი იგემეს ლიტველთაგან და კარგად იციან, რომ კიდევ ერთ წაგებას ქვეყნის კალათბურთის (და არა მარტო კალათბურთის) მამები ვერაფრით იგუებენ.

ლიტველებმა წლევანდელ ჩემპიონატზე ძალიან კარგი გუნდი ჩაიყვანეს. ცნობილი ვარსკვლავების — მარჩულიონისის, კურტინაიტისის, ხომიჩუსისა და სხვათა კალათბურთიდან წასვლის შემდეგ ბევრს ეგონა, რომ ბალტიისპირელები ძველი წარმატებების გამეორებას ველარ შეძლებდნენ და ტურნირსაც ნაადრევად დაემშვიდობებოდნენ. აკი ამბობდა კიდეც მარჩულიონისი — ამ თაობის სპორტსმენებს მოგივფრთხილდით, თორემ იცოდეთ, ლიტვას ჩვენი დარი კალათბურთელები კიდევ დიდხანს არ ეყოლება და აქამდე მიღწეული მხოლოდ ტკბილ მოგონებებადღა დაგრჩებათო.

ლეგენდარული არვიდას საბონისისა და თავად შარუნასის დონის შემსრულებლები ლიტვას დღესდღეობით ნამდვილად არ ჰყავს, მაგრამ ის, რომ გუნდი მეოთხედფინალშია და მსოფლიოს ჩემპიონობის შანსი ჯერაც არ დაუკარგავს, ფაქტია.

და რუსები? ამ გუნდის განზრახვაზე ყველაზე ნათლად მათი თავკაცის სერგეი ბელოვის სიტყვები მეტყველებს: „ერთადერთი ოპონენტი, ვისიც გვეშინია, ისევ და ისევ ჩვენ ვართ. რუსეთის ნაკრების მომგები გუნდი საბერძნეთში არ მეგულება. ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონობის უპირველესი კანდიდატები ვართ და თუ რაიმე ხიფათი შეგვემთხვა, ესეც საკუთარი უყურადღებობის ბრალი იქნება.“



REUTERS ათენიდან

ლიტველებმა ესპანეთთან წააგეს. მაგრამ რუსეთი ხომ ესპანეთი არ არის!

რუსეთის მწვრთნელი ისეთი უჭკუო როდი გახლავთ, ეს სიტყვები უსაფუძვლოდ წამოეროშა. როცა ამ ინტერვიუს იძლეოდა, იგი იმ მძლავრ დასაყრდენს გულისხმობდა, რომელიც სამქულიანების ოსტატის — იგორ კუდელინის, ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებლის — ვასილი კარასიოვის, უძლიერესი კისურინისა და სხვათა სახით ჰყავს.

ასე რომ, ამ თამაშში გამარჯვებულის წინასწარ დასახელება პრაქტიკულად შეუძლებელია და ჩვენც ისღა დაგვრჩენია, მოთმინებით დაველოდოთ მატჩს, რომელში საუკეთესოსაც ნახევარფინალში მეტოქეობას აშშ — იტალიის შეხვედრაში მოგებული გაუწევს.

### იტალია — აშშ

23.00. ოლიმპიური დარბაზი

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ამერიკელთა მიერ F ჯგუფის ბოლო შეხვედრაში ავსტრალიელთა განადგურების მიუხედავად ადვილი შესაძლებელია, სენსაციური შედეგის მომსწრენი გავხდეთ. მართალია, აშშ-ის ნაკრები NBA-ს მოთამაშეების გარეშეც იოლად ახერხებდა ფონს გასვლას და ექვს მატჩში ხუთი გამარჯვებაც მოიპოვა, მაგრამ მეოთხედფინალური თამაშები ხომ განსაკუთრებულად დაძაბულია.

თანაც, იტალიელებს სულაც არ ჰყავთ ის გუნდი, რომელთანაც წინასწარ უეჭველი მოგების დაგეგმვა შეიძლება. ეს „სკუადრა ატურამ“ E ჯგუფში ასპარეზობისას თვით იუგოსლავიის უძლიერესი გუნდის დამარცხებით დაამტკიცა და არა გვგონია, ახლა, გადამწყვეტ მომენტში აშშ-ის, თუნდაც ობიექტურად მასზე ოდნავ ძლიერ ნაკრებს შეეპუოს.

როდესაც ცნობილი გახდა, რომ ამერიკელები საბერძნეთში უძლიერესი შემადგენლობით არ ჩავიდოდნენ, ბევრმა ამ ფაქტს დიდი ყურადღება არც მიაქცია. აბა, რა მნიშვნელობა აქვს, NBA-ს ვარსკვლავებთან შერცხვები თუ სხვა კუნთმაგარი ზანგები დაგამარცხებენ? ამერიკა ხომ მაინც ამერიკაა და ჩემპიონატსაც ოფლის დაუღვრელად მოიგებსო — ამბობდნენ მავანნი, მაგრამ ტურნირი დაიწყო და ყველა მიხვდა, რომ აშშ-ის ნაკრები სულაც არ იყო ის ჯალათი, რომელიც ყველა შემხვედრს სასტიკად უსწორდება.

ლიტვასთან სამარცხვინო წაგებას რომ თავი დავანებოთ, ამის ნათელ დადასტურებად მათ მიერ ესპანელებთან საოცრად უსუსურად ჩატარებული მატჩიც გამოდგება, სადაც ოკეანისგაღმელები ბოლო წუთამდე მდევრის როლში იყვნენ და მხოლოდ შემდეგ მოახერხეს გამარჯვების დაბევება.

აქვე ერთი რამეც გვინდა ვთქვათ. შეიძლება მავანმა იფიქროს, კი მაგრამ, ამ ამერიკელებს ყველა მატჩის მოგებას რომ სთხოვთ, სასწაულთმოქმედები ხომ არ არიან ან მძლეთამძლეებიო. კი, დაგეთანხმებით, რომ ასეთ მოსაზრებასაც აქვს არსებობის უფლება, მაგრამ... უბრალოდ, ისაა, რომ კალათბურთში ამერიკელთა ბატონობას მივეჩვიეთ. გულახდილად რომ ვთქვათ, ისინი ყველას ათი თავით სჯობიან და თავისთან გაწონასწორების საშუალებას, ალბათ, კარგა ხანს არავის მისცემენ.

ეს, ისე, მცირედი გადახვევა იყო, თორემ ტურნირი, რომლის გამარჯვებულიც წინასწარვე ცნობილია, გაცილებით ნაკლებად საინტერესოა, ვიდრე ის შეჯიბრი, სადაც ბოლო მომენტამდე უცნობია ნახევარფინალური წყვილების შემადგენლობაც კი.

**ირაკლი ხმელიძე**

# ხარები დაკოდეს!

ამქვეყნად მუდმივი არაფერია. მოკვდა მაო ძე დუნი, ჟოაო აველანჟი აღარაა ფიფას პრეზიდენტი, აღარ ბურთაობს მარადონა, თვით 80-იანი წლების „ბოსტონ სელტიქსის“ ცენტრი რობერტ პერიშიც შეეშვა კალათბურთს, მაიკლ ჯორდანიც აღარ აპირებს (ჩიკაგოში?) თამაშს იმის გამო, რომ ჩიკაგოელი „ხარების“ მწვრთნელი და მისი ექვსჯერ გამჩემპიონებელი ფილ ჯექსონი კლუბიდან მიდის. რატომ? ალბათ, იმიტომ, რომ რვა წელიწადში NBA-ს ექვსჯერ ჩემპიონობა სახუმარო საქმე სულაც არ არის და ჩიკაგოს დარდში გაჭაღარავებულ ფილ ჯექსონს სრული უფლება აქვს, ჩამოიხსნას ის ტვირთი, რასაც „ჩიკაგო ბულზი“ ჰქვია. „ხარების“ ყველა წარმატება უმთავრესად მაიკლ ჯორდანსა და ფილ ჯექსონს უკავშირდება. მათი დაკარგვის შემდეგ გუნდს რაიმე ღირებული წარმატების მიღწევის თითქმის არავითარი შანსი არ რჩება, მით უმეტეს, რომ ჯორდანის მარჯვენა ხელს მოედანზე — სკოტი პიპენსაც აღარ სურს გუნდში დიდხანს დარჩენა. მიზეზი საოცრად მცირე ჯასამრჯელოა. სავარაუდოა, რომ ჩიკაგოდან ამ ხალხის წასვლის შემდეგ გული აქ დიდხანს არც გუნდის კიდევ ერთ წამყვან მოთამაშეს, შერეკილ დენის როდმანს დაუდგება. ესე იგი, გამოდის, რომ უძლეველი გუნდიდან „ჩიკაგო ბულზი“ აუტსაიდერად უნდა იქცეს, რაც, ალბათ, უამრავ ქომაგს დაწყვეტს გულს. დაახლოებით ერთი კვირის წინ ჩიკაგოში, „ბულზის“ დარბაზ „იუნაიტედ ცენტრში“ გაიმართა პრესკონფერენცია, რომელზეც ფილ ჯექსონმა ოფიციალურად განაცხადა თავისი წასვლის შესახებ, მხოლოდ ერთი პირობით, ცოტა ხანს კიდევ მაცადეთ, კარგად მოვიფიქრებო. გუნდის ბოსები ბევრს ეხვეწნენ, დარჩიო, მაგრამ ამაოდ. მაშ, ჯექსონი წავიდა და „ჩიკაგო ბულზის“ ისტორიაშიც ახალი ხანა იწყება. უთუოდ საინტერესოა, ვინ ითავებს გუნდის გაძღოლას მომავალში. ასეთი კაცი უკვე გამოძებნილია და იგი ვინმე ტიმ ფლოიდი გახლავთ. რა შეიძლება ითქვას მასზე? ტიმ ფლოიდს არასდროს უმუშავია NBA-ს რომელიმე გუნდის მწვრთნელად. იგი ჯერ სკოლებს, შემდეგ კი კოლეჯებს ედგა სათავეში და საკმაოდ კარგადაც ართმევდა თავს საქმეს. მის სამწვრთნელო შესაძლებლობებზე ყველას სხვადასხვა აზრი აქვს. ზოგნი ამბობენ, იგი სამწვრთნელო აღმოჩენააო, სხვები კი მას მხოლოდ პაიკს ადარებენ. მავანნი თვლიან, რომ მან თავისი საქმე მშვენივრად იცის, დანარჩენები კი სუსტ სპეციალისტად მიიჩნევენ. პიროვნულად ტიმ ფლოიდი ხმაურიანია, ემოციური და ამბიციური, მაგრამ მან იცის თავისი ადგილი. ამავე დროს იგი ძალიან გულმავიწყიცაა. მას შეუძლია მთელი ღამის განმავლობაში იფიქროს და ვთქვათ, კანზასის დამარცხების მშვენიერი გეგმა შეიმუშავოს, მაგრამ მეორე დღეს, არაა გამორიცხული, მთელი თვის ხელფასის ჩეკი სულ იოლად დაკარგოს.

ფლოიდი ბავშვობიდანვე მწვრთნელობაზე ოცნებობდა და მიუხედავად იმისა, რომ მამამისი ლი ფლოიდი ამის წინააღმდეგი იყო, მან მაინც მოახერხა გულის საწადელის ასრულება. აღსანიშნავია, რომ მამამისიც მწვრთნელი გახლდათ და სწორედ ამიტომ არ სურდა, შვილი ასეთ ძნელ საქმეს შეჭიდებოდა. ტიმ ფლოიდი თავისი სამწვრთნელო კარიერისთვის ბავშვობიდან ემზადებოდა. იგი დამლაგებლად და მრეცხავად მუშაობდა იმ გუნდში, რომელსაც მამამისი თავკაცობდა. 16 წლის ტიმს ხშირად უღვენებია თვალი ლისთვის,



სარბიელის არქივიდან

ჩიკაგო: აღარც ჟორდანი და აღარც ჯექსონი?!

როდესაც ეს უკანასკნელი თავის შეგირდებს ტაქტიკაზე ესაუბრებოდა და მერე ნანახსა და გაგონილს თავის დღიურებში იწერდა, რომლებიც ახლაც არსებობს. მან მამამისისგან ბევრი რამ ისწავლა და მწვრთნელობაზე თავისი აზრი ბავშვობიდან ჩამოუყალიბდა. ფლოიდის თქმით, კარგი შეტევის საფუძველი კარგი დაცვაა. ამიტომაცაა, რომ იგი დაცვაზე აკეთებს აქცენტს!

მწვრთნელი გახდა თუ არა, ფლოიდმა უმალ კალათბურთის უმაღლეს მწვერვალებს — NBA-ს მიაპყრო თვალი. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ჩავარდნა ჰქონდა. ფლოიდმა სტუდენტური კალათბურთის ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელის სახელი დაიგდო. რამდენიმე წლის წინ იგი „ჩიკაგო ბულზის“ გენერალურმა მენეჯერმა ჯერი კრაუზემ შეამჩნია და NBA-ში მოღვაწეობა უწინასწარმეტყველა. და აი, ახლა ფლოიდი NBA-შია, თვით სახელოვანი და ტიტულოვანი „ჩიკაგო ბულზის“ თავკაცი. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ იგი უძლიერესი მწვრთნელია.

ამას დამტკიცება უნდა, მით უმეტეს, რომ ფილ ჯექსონის ღირსეული მემკვიდრეობა იოლი სულაც არ არის. თუმცა ფლოიდი, თუ მის სიტყვებს ვერწმუნებით, ამისთვის მზადაა.

რამდენიმე წლის წინ ფლოიდს ერთმა მეგობარმა ჰკითხა, 10 მილიონი რომ მოგცენ, ტაისონის მუშტს თუ გაუძლებო. ფლოიდმა უპასუხა, ზოგი ჯილდო იმდენად დიდია, მის გამო ყოველგვარ ტანჯვას აიტანო. NBA-ს ექვსგზის ჩემპიონთა მწვრთნელობა უმძიმესი ტვირთია და თუ როგორ ზიდავს ტიმ ფლოიდი მას, მომავალი გვიჩვენებს.

**ირაკლი ფირაშვილი**

# ჯადოსნური მატჩი შუა ზაფხულის ღამეს

ასე ეწოდა ლოს ანჯელესში 3 აგვისტოს გამართულ NBA-ს ვეტერანთა და ახალბედათა შეხვედრას. თუმცა „ვეტერანები“ პირობითად ითქმის, რადგან ბოსტონ სელტიკსელ ანტუან უოლკერს სულ რაღაც ორი სეზონი გაუტარებია ლიგაში და არც სხვები არიან მაინცდამაინც ბებრები.

ვინაიდან NBA-ში ლოკაუტი მძვინვარებს, რის გამოც მოთამაშეებს ეკრძალებათ სხვა კლუბებში გადაბარგ-გადმობარგება, გუნდებს კი ყველანაირი ამხანაგური შეხვედრის გამართვა (კიდევ მრავალი სხვა რამეცაა აკრძალული), თამაშს მოწყურებული სხვადასხვა კლუბთა კალათბურთელები ლოს ანჯელესში, იქაური „ლეიკერსის“ დარბაზ „ინგლევუდში“ შეიკრიბნენ და თავი შეიქციეს.

მატჩმა საკმაოდ დიდი ინტერესი გამოიწვია. 17,5 ათასიან დარბაზში 14 ათასმა ლოსანჯელესელმა მოიყარა თავი და მოთამაშეებსაც არ გაუწბილებიათ გულშემატკივრები. ერთობ დაძაბული შეხვედრა მოსეირეთა გულის გასახარად უჩვეულოდ დიდი ანგარიშით — 142:140 დასრულდა ვეტერანთა სასარგებლოდ. ახალბედათა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი არ შეუშინდნენ მათზე გამოცდილ მეტოქეთ და მთელი მატჩი ტოლ-სწორად ეთამაშნენ მათ. შეხვედრისთვის გადამწყვეტი აღმოჩნდა ბოსტონელი ანტუან უოლკერის (18 ქულა მატჩში) ჩატენვა საფინალო სირენამდე 40 წამით ადრე, რამაც მისი გუნდი 142:137 დააწინაურა. ახალბედებმა კი ამ ორმოც წამში მხოლოდ ორ ქულამდე შეძლეს ჩამორჩენის შემცირება და NBA-ში ჭიპმოჭრილ მოთამაშეებთან საპატიო ანგარიშით დამარცხდნენ. უოლკერის გარდა ძველებიდან გამოირჩეოდნენ დალასელი მაიკლ ფინლი (26 ქულა) და ყოფილი ვაშინგტონელი, აწ კი საკრამენტოელი კრის უებერი (21 ქულა), რომელმაც ლოკაუტის გამოცხადებამდე მოახერხა კლუბის გამოცვლა. ახლებიდან კი ყველას სჯობდნენ ფილადელფიელი ნაზრ მუჰამედი (18 ქულა), კლიპერსელი ბრაიან სკინერი (18 ქულა) და ფინიქსელი ფილიპ ლიპესი (16 ქულა).

მატჩი საქველმოქმედო გახლდათ. შეხვედრიდან მიღებული არცთუ მცირე თანხა, დაახლოებით 10 მილიონი დოლარი ამერიკის მრავალი კოლეჯის სტუდენტთა სტიპენდიების ფონდებს გაუნაწილდა. ტაიმებს შორის შესვენების დროს „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ყოფილმა სუპერვარსკვლავმა, ლეგენდარულმა მეჯიქ ჯონსონმაც გამოიჩინა გულისხმიერება და ზანგთა გაერთიანებულ კოლეჯს მილიონი დოლარი უფეშქაშა.

**ირაკლი ფირაშვილი**

# „დიდება“ აფრიკელებსაც უსწავლიათ

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ქალაქ პრეტორიაში დამთავრებული ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ჭაბუკთა მსოფლიოს პირველობის შესახებ ინფორმაციები შეძლებისდაგვარად უკვე მოგაწოდეთ. გუშინ, გვიან ღამით, ჩვენი გუნდი თბილისს დაბრუნდა და ჩვენც საშუალება მოგვეცა, უშუალოდ გავსაუბრებოდით ნაკრების მთავარ მწვრთნელ ვაჟა კრავეიშვილსა და პრეტორიის გამძარცველ „ოქროს ბიჭებს“. ხუმრობა საქმე როდია — შვიდი მონაწილიდან სამმა მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა, თანაც როგორ... თუმცა ამას ცოტა ქვემოთ, მწვრთნელის ნაუბარიდან შეიტყობთ. მართალია, ჩემპიონთა გარდა პრიზიორები არ გვყოლია, მაგრამ არა მგონია, ამას საერთო შედეგი დაეჩრდილა. უპირველადგილოდ დარჩენილთაგან ყველა ათეულში დამკვიდრდა და გუნდურ ჩათვლაში ქულათა სოლიდური მარაგითაც შეეწივნენ საერთო საქმეს. მოკლედ, შეიძლება ითქვას, რომ შავი კონტინენტის უკიდურეს სამხრეთში მდებარე ეს ქვეყანა და ალმასის წარმოებით მდიდარი ქალაქი პრეტორია ფეხბედნიერად დავცადეთ, ახლა კი შეპირებული ინტერვიუ მწვრთნელთან და მსოფლიოს ჩემპიონებთან.



მსოფლიოს ჩემპიონები: გიორგი რურუა, ვანო ჩუბინიძე და ილია ლექავა

— პრეტორიამდე მეტად გრძელი და მომქანცველი გზა გავიარეთ — გვიამბობს ვაჟა კრავეიშვილი — თბილისიდან ავტობუსით ჩავედით ტრაპიზონში, იქედან თვითმფრინავით სტამბოლში, საიდანაც პრეტორიაში გადავფრინდით. დაახლოებით ცხრა საათს ვმგზავრობდით, მაგრამ სხვა ქვეყნებზე მეტად მარშრუტის მხრივ მაინც ჩვენ გაგვიმართლა. ასეთმა ხანგრძლივმა ფრენამ გარკვეული პრობლემებიც შეგვიქმნა — შეჯიბრების ადგილზე აწონვის დღეს ჩავედით და ლევან ესებუამ ვერ მოასწრო წონის დაკლება, რის გამოც იძულებული გავხდით, 48-ის ნაცვლად 52-ში გამოგვეყვანა. ამან კი შედეგზეც იქონია გავლენა, არადა, ეს ბიჭი ჩემპიონობას თუ არა, რომელიმე საპრიზო ადგილს მაინც დაიკავებდა.

**— თავად ტურნირი როგორ იყო ორგანიზებული?**

— ამ ქვეყანაში მსგავსი დონის შეჯიბრება პირველად ჩატარდა და გამოუცდელობის გამო ყველაფერი მთლად რიგზე ვერ გახლდათ, მაგრამ მასპინძლები მონაწილე გუნდებთან კონსულტაციების ხარჯზე ამ უმნიშვნელო ხარვეზებსაც ასწორებდნენ. მთლიანობაში მაინც ყველაფერი კარგი იყო. ამ ქვეყანაში ჭიდაობა ნამდვილად არ არის ისე პოპულარული, როგორც, ვთქვათ, რაგბი. ამიტომ შეხვედრებს დიდ საჭიდაო ქვეყნებთან შედარებით მცირერიცხოვანი მაყურებელი ესწრებოდა, თუმცა ჩვენი გუნდისადმი დიდ სიმპათიებს ამჟღავნებდნენ. თქვენ წარმოიდგინეთ, ჩვენი ჰიმნიც კი იცოდნენ და საჭირო დროს უკრავდნენ კიდეც. რუსეთის ნაკრებს სსრკ-ს ჰიმნი აუჟღერეს და მათი დელეგაციის ხელმძღვანელები აღაშფოთეს. აფრიკელები საქართველოს დროშასაც მშვენივრად ცნობდნენ. ისე მოხდა, რომ ჩვენებიდან ყველა ერთ დღეს გახდა ჩემპიონი, თანაც ყოველი წონის შემდეგ და ფლაგშტოკზე სხვადასხვა ქვეყნის დროშები იცვლებოდა, ჩემპიონის ადგილას აღმართული ჩვენი ალამი კი არა, რის გამოც მაყურებლები ხუმრობდნენ — ჩამოხსნა ხომ არ დაგავიწყდათო. მოკლედ, მათი მხარდაჭერა არ გვაკლდა.

**— სამი ჩემპიონის პატრონს თითქოს საწუწუნო არაფერი უნდა გქონდეთ, მაგრამ სხვებს თუ შეეძლოთ მიღწეულზე უკეთ გამოსვლა?**

— ლევან ესებუაზე უკვე გითხარით და ახლაც გავიმეორებ — მას რომ თავის 48 კგ წონაში ეჭიდავა, ჩემპიონობას თუ არა, პრიზიორობას მაინც მოიპოვებდა.

მსაჯებმა დაგვიჩაგრეს 83 კგ წონაში მოასპარეზე რამაზ ნოზაძეც. მას წააგებინეს ჯერ მესამე ადგილისთვის ფინალში გადასასვლელი ორთაბრძოლა უნგრელთან, ხოლო შემდეგ სამესამეადგილო შეხვედრა თურქთან. არადა, ამ უკანასკნელს პირველ წრეში რამაზმა დამაჯერებლად სძლია. თავიდან იგი ორივე შეხვედრას იგებდა, მაგრამ მერე მსაჯებმა ხან ქულები არ ჩაუთვალეს, ხან მეტოქეები არ დაუსაჯეს, ანაც მათ დაუმსახურებელი ქულები მიაკუთვნეს. თურქთან პაექრობისას ორივე არბიტრმა — გვერდითმაც და ძირითადმაც ერთერთი ილეთისთვის რამაზს მიუთვალა ქულები, მაგრამ შეჯიბრების მთავარმა არბიტრმა მათი გადაწყვეტილება შეცვალა, რისი უფლებაც, წესით, არ ჰქონდა. მისი არაობიექტურობა იმდენად აშკარა იყო, რომ ამერიკელთა გუნდის ექიმი მოვიდა და მითხრა, მსაჯთა გადაწყვეტილებისა ვერაფერი გავიგეო. გაკვირვებას მაყურებლები და სპეციალისტებიც გამოხატავდნენ. ჩვენ კიდეც გავაპროტესტეთ, მაგრამ ამაოდ. რომ არა ეს ხელისშემშლელი ფაქტორები, შედეგები მართლაც უკეთესი იქნებოდა. ერთსაც მიაქციეთ ყურადღება — თუ მოსკოვის ახალგაზრდულ თამაშებზე რუსებმა 7 ოქრო მოიპოვეს იმის ხარჯზე, რომ ზოგიერთ წონაში ჩემპიონობა აშკარად წაგვართვეს, პრეტორიაში შური ვიძიეთ — მათ მხოლოდ 4 ოქრო მოიგეს, დანარჩენი სამი კი არ დავუთმეთ.

**— გუნდურ ჩათვლაში როგორი შედეგები გქონდათ?**

— 30 გუნდს შორის მეოთხე ადგილი დავიკავეთ, საპრიზო სამეული კი ასე განაწილდა: რუსეთი, თურქეთი, უკრაინა. ამ უკანასკნელს სულ რაღაც ხუთიოდე ქულით ჩამოვრჩით. ცოტა მეტი იღბალი რომ გვქონოდა, ან თუნდაც ზემოხსენებული სირთულეები რომ არა, გუნდურშიც უკეთეს ადგილს დავიკავებდით. თანაც, ჩვენი ნაკრები არასრული შემადგენლობით — 7 კაცით იყო წარმოდგენილი (სრული გუნდის წაყვანა უფულობის გამო ვერ მოხერხდა). თუმცა, ამის მიუხედავად, უკან ჩამოვიტოვეთ ისეთი ძლიერი საჭიდაო ქვეყნები, როგორებიცაა აშშ, უნგრეთი, პოლონეთი, რუმინეთი, ყაზახეთი, ფინეთი...

**— ჩვენი ჩემპიონი ბიჭები თუ დაჯილდოვდებიან?**

— სამწუხაროდ, არა! არადა, რუსეთის სპორტკომიტეტმა ახალგაზრდული თამაშების ჩემპიონები 3000 დოლარით, მეორე-მესამე პრიზიორები კი შესაბამისად, 2000 და 1000 დოლარით დაასაჩუქრა. იგივე პრემიებს ჰპირდებოდნენ მსოფლიოს პირველობაზეც. ჩვენთან კი მხოლოდ სტიპენდიას დაუნიშნავენ და იმასაც, ვინ იცის, როდის მიიღებენ.

მწვრთნელის შემდეგ ჩვენს მოჭიდავეებსაც, უფრო სწორად, მხოლოდ ორ მათგანს გავესაუბრე. მარტყოფელმა ვანო ჩუბინიძემ თავს დასვენების უფლება მისცა და გუშინ ფალავანთა კლუბში არ მოსულა. თავიდანვე ვიტყვი, სამივე ჩემპიონი — ვანო ჩუბინიძე (63), გიორგი რურუა (76) და ილია ლექავა (95) მოსკოვის ახალგაზრდულ თამაშებზე ბრინჯაოს მედალს დაუუფლა, ახლა კი ერთად მოიპოვეს მსოფლიოს ჩემპიონობა. მოსკოვში მათ ფინალში გადასასვლელი შეხვედრები წააგეს რუსებთან, პრეტორიაში კი იმავე ეტაპზე იმავე რუსებს მოუგეს! უცნაური დამთხვევაა, მაგრამ ფაქტია. არადა, ამ ბიჭებისთვის ასეთი დონის ტურნირი, ხოლო ზოგისთვის უცხოეთში ასპარეზობა სადებიუტო იყო.

ილია ლექავა: „ჩემპიონობას ნამდვილად ველოდი, პრეტორიაშიც ამისთვის წავედი. მაინცდამაინც არ გამჭირვებია. ყველაზე ძნელი ფინალში გადასასვლელი შეხვედრა იყო რუს ალექსანდრე ჩერნიჩენკოსთან, რომელთანაც მოსკოვში წავაგე, დანარჩენებს კი იოლად მოვუგე. ფინალში ამერიკელი სუფთად დავამარცხე ქულებით 10:0. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, წლეულს არანაირი შეჯიბრება არ გვექნება, გაისად კი ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები გველოდება. მინდა ახლანდელი ტიტულიც დავიცვა და სხვებიც დავისაკუთრო. საერთოდ, ჩემი მიზანი დიდი მწვერვალების დაპყრობაა“. გიორგი რურუა: „ჩემპიონობის მოპოვება იოლი არ იყო, მაგრამ არც მოულოდნელი. ბოლო-ბოლო, მსოფლიოს პირველობაა და აქ ადვილად არავინ არფერს დაგითმობს. თუმცა მთავარია, რწმენა გქონდეს და ყველაფერს მიაღწევ. ყველაზე მეტად მაინც ფინალში გამიჭირდა. მსოფლიოსა და კონტინენტის მომავალი პირველობებისთვის მეც ვემზადები და ოლიმპიურ ჩემპიონობასაც ვუმიზნებ. 2004 წელს, ალბათ, გარკვეული წარმატებებით შევხვდები“ (ოლიმპიურ ოქროზე მეოცნებე ბიჭის ნათქვამი ბაქიაობა რომ არ გეგონოთ, ვნახოთ, როგორ გაუსწორდა მეტოქეებს — 10:2, 11:1, 4:3, 6:4).

რაკი ვანო ჩუბინიძესთან უშუალო შეხვედრა არ შედგა, იძულებული ვარ, მწვრთნელის ნაუბარს დავჯერდე.

— ვანომ დასაწყისში ზედიზედ სამი ორთაბრძოლა მოიგო, ფინალში გასასვლელ შეხვედრაში სძლია რუს ევგენი გრებნევს, რომელთანაც მოსკოვში წააგო, ფინალში კი ფინელი კეკი იესე დაამარცხა 2:1. ის ყოველთვის მცირე უპირატესობით იმარჯვებს. ბევრი ქულის დაგროვება არ ჩვევია. საერთოდ, მძიმე სტილი აქვს, მაგრამ სტაბილური მოჭიდავეა.

ჩვენც რაღა დაგვრჩენია — წარმატებები ვუსურვოთ „ოქროს ბიჭებს“.

**ირაკლი თამაძე**



# ვისზე ნაკლებნი ვართ?!

საქართველოს წყალბურთელთა ნაკრების ლიდერმა ზვიად დავითიანმა შესაძლოა კლუბი შეიცვალოსო, გვითხრა ამას წინათ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გელა ტუკვაძემ. ამ ცნობამ დაგვაინტერესა და რაკილა „კიჟა“ (ზვიადის მეტსახელია) ნაკრების თურქული ტურნეს შემდეგ კვლავაც თბილისში იმყოფება, შევეხმიანეთ. ზაფხულის ხვატით გათანგულ ქალაქში „ლაგუნა-ვერეს“ სპორტკომპლექსზე უკეთეს თავშესაფარს ზვიადი, აბა, სად იპოვიდა, მით უფრო, რომ ნაკრებიც სწორედ აქ ვარჯიშობს. ჩვენი საუბარიც აქვე შედგა



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

ზვიად დავითიანი

**— ზვიად, გავიგეთ თურმე, კლუბის შეცვლას აპირებ.**

— ამაზე მართლაც არის ლაპარაკი. მიწვევები მაქვს საფრანგეთისა და გერმანიის კლუბებიდან. ყველაფერი 15 აგვისტოსთვის გაირკვევა. ამ დროისთვის მეც იქ ვიქნები და ადგილზე ვნახავ ყველაფერს. თუ უკეთესი პირობები შემომთავაზეს, დავყაბულდები, თუ არა და ისევ იუგოსლავიაში დავრჩები.

**— თითქოს რუსული კლუბებიც არიანო შენით დაინტერესებულნი.**

— კი, მოსკოვის „დინამო“ და ვოლგოგრადის „სპარტაკი“. ამ გუნდებზეც იგივე შემიძლია ვთქვა, რაც ფრანგულ-გერმანულზე.

**— შენს ამჟამინდელ იუგოსლავიურ კლუბს ხელწამოსაკრავი არ ეთქმის, მაშ რატომ აპირებ იქიდან წამოსვლას?**

— „ბუდვანსკა რივიერა“ ეროვნულ ჩემპიონატში წელს მესამე ადგილზე გავიდა და მართლაც ძლიერი გუნდია. ძირითად შემადგენლობაშიც ვთამაშობ, პირობებიც კარგია, მაგრამ იუგოსლავიაში უკვე შვიდი წელია ვთამაშობ და მინდა სხვაგანაც გამოვცადო თავი. ვთვლი, რომ იუგოსლავიაში ჩემი სათამაშო უკვე ვითამაშე. თან, მატერიალური მხარეც გასათვალისწინებელია, ამ მხრივ შემოთავაზებული წინადადებები, მათ შორის რუსებისგანაც, უკეთესია.

**— ფული ფულად, მაგრამ წმინდა სპორტული ინტერესის თვალსაზრისით სად ისურვებდი თამაშს?**

— ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, იუგოსლავიასა და რუსეთს ვარჩევდი, რადგან წყალბურთი ამ ქვეყნებში უფრო განვითარებულია, ვიდრე საფრანგეთსა და გერმანიაში.

**— ნაკრების თურქულ ტურნირზე მინდა გკითხო. შეგეძლოთ თუ არა მეტის მიღწევა?**

— არა, რადგან საქართველოში წყალბურთი, ფაქტობრივად, მკვდარია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უჩემპიონატოდ დავრჩით და წყალბურთიც მოკვდა. ასეთ პირობებში სათამაშო ფორმის შენარჩუნების ერთადერთი გზა საზღვარგარეთ წასვლაა. თურქეთში ჩვენი ნაკრები საკონტროლო მატჩების უთამაშებლად გაემგზავრა. ძლიერ გუნდებთან შეხვედრებს ვგულისხმობ, თორემ ერთმანეთთან თამაში რა ბედენაა. ბიჭებს შეთამაშებაც აკლდათ. სწორედ ამ ხელისშემშლელმა მიზეზებმა განაპირობა თურქული შედეგი.

**— ნაკრებმა თითქმის ყველა თამაში ბოლო წუთებზე წააგო.**

— ეგ იმიტომ, რომ, წეღანაც ვთქვი, შეთამაშება, პრაქტიკა გვაკლდა. ფაქტობრივად, 6 წელია, ჩვენს წყალბურთელებს არ უთამაშიათ და მარტო ერთთვიანი ვარჯიშით ბევრს რას მიაღწევ. ფიზიკურად და ინტელექტუალურად სხვებს არ ჩამოვრჩებით, მაგრამ აშკარაა სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობა. დიდ შედეგებს თვეობით და წლობით სჭირდება მზადება, ჩვენთან კი ჰგონიათ, რომ ერთი თვე ვარჯიშით მსოფლიოს ჩემპიონები გავხდებით. არადა, წარმატებისთვის ბევრი ოფლის ღვრაა საჭირო. გული გწყდება, როცა ხედავ, რომ სხვაზე ნაკლები არა ხარ, პირობების უქონლობის გამო კი ქედს უხრი მათ. ჩვენ თუ ვთამაშობთ, მხოლოდ იმის იმედით, რომ მდგომარეობა გამოსწორდება და ჩვენც სხვებივით ვიარსებებთ. ამ იმედით ვართ წყალში.

**— „ბუდვანსკაში“ როგორი პირობები გაქვს?**

— იმ კლუბში ერთადერთი, რაც მევალება, ვარჯიშია. ყველა დანარჩენ პრობლემას კლუბი აგვარებს. კვებით, სახლით, მანქანით და საერთოდ, ყველაფრით უზრუნველყოფილი ხარ. ყველა გუნდს თავისი ბაზა აქვს, ზოგჯერ რამდენიმეც კი. ჩვენ მხოლოდ დღეში 5 საათით ორჯერადი ვარჯიშები მოგვეთხოვება. მოკლედ, ჩვენს პირობებთან შედარებაც არაა.

**— ზვიად, 7 წელია, იუგოსლავიაში ცხოვრობ და იქაურობისა ყველაფერი იცი. ამ ქვეყანამაც ჩვენსავით გადაიტანა ომები, გაჭირვება, ქაოსი, ეკონომიკური ემბარგოც, რომელიც ჩვენ არ გვქონია და მაინც, ჩვენგან განსხვავებით, იქ სპორტი არ ჩამკვდარა. შენი აზრით, რა არის მიზეზი?**

— სპორტი იუგოსლავიაში, ისევე, როგორც ხორვატიაში, პირველ ადგილზეა. მათთვის სპორტი და კულტურა თავიანთი ქვეყნების სახელისა და ღირსების საქმეა. ამიტომ სხვა საქმეში იკლებენ და სპორტს ახმარენ. მიკვირს, როცა ჩვენში ამბობენ, ფული არ გვაქვსო. არც იქ აქვთ, მაგრამ თავისთვის იკლებენ და სპორტს აძლევენ. განა ჩვენ არ შეგვიძლია, სპორტი ქვეყნის სავიზიტო ბარათად ვაქციოთ, მაგრამ ვინ ზრუნავს ამაზე. იქ კი ზრუნავენ და ამიტომაც აქვთ ასეთი წარმატებები.

**— მოკლედ, იმის თქმა გინდა, რომ იუგოსლავიაში სპორტი სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილია...**

— დიახ, სწორედ ასეა.

**— იუგოსლავიის მოქალაქეობა და ამ ქვეყნის ნაკრებში თამაშიც ხომ არ შემოუთავაზებიათ შენთვის?**

— იუგოსლავიაში პირველად რომ ჩავედი, 1991 წელს, მაშინ კი მითხრეს, ჩვენიანი გახდიო, მაგრამ იმ დროს ეს ქვეყანა დაიშალა, დაუწესეს ემბარგოც და ნაკრებს 5 წელი არსად უთამაშია. ეს რომ არა, ალბათ ნაკრებშიც აუცილებლად ვითამაშებდი. ამ თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, ცოტა იღბალმა მიღალატა. რა თქმა უნდა, საქართველოს დროშის ქვეშ თამაში უდიდესი პატივია, მაგრამ დრომ მოიტანა, რომ საზღვარგარეთ თამაშს მიველტვით.

**— და ბოლოს, კიდევ რამდენ ხანს აპირებ წყალბურთში დარჩენას?**

— წყალბურთს, სანამ შევძლებ, სანამ თავს დაძაბუნებას არ შევატყობ, მანამდე ვითამაშებ. ძალიან მინდა, სარბიელი თავაწეულმა დავტოვო.

**ირაკლი თამაძე**


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი** ზურაბ ფოცხვერია

**დირექტორი** გიორგი ოქრომჭედლიძე

**რედაქტორი** თამაზ მიგრიაული

**მთავარი რედაქტორის მოადგილე:** ილია ბაბუნაშვილი

**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:** ვახტანგ ბზიკაძე

**ტექნიკური რედაქტორი** გურამ ხელაშვილი

**კალათბურთის განყოფილების გამგე:** ავთანდილ გურასაშვილი

**ინფორმაციის განყოფილების გამგე:** სოსო კოტორეიშვილი

**ფეხბურთის რედაქცია.**

**ქართული ფეხბურთის განყოფილება:** კონსტანტინე გოგიშვილი, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე

**უცხოური ფეხბურთის განყოფილება:** ლაშა გოდუაძე, დავით კოზირიძე, ონისე შინჯიკაშვილი, ირაკლი ხმელიძე

**კალათბურთის განყოფილება:** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი

**ინფორმაციის განყოფილება:** ავთანდილ სვანიძე, ირაკლი თავაძე

**კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე

**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე

**სტილისტები:** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

**კომპიუტერული ცენტრი:** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი

**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29